დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

1. ხათუნა ფაილაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. თამარ ბერიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
4. ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
6. ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
7. ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
8. ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
9. სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
10. ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203850831

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
იურიდიული მისამართი	შ.ჩიტაძის ქ. N9
ფაქტობრივი მისამართი	შ.ჩიტაძის ქ. N9
საფოსტო ინდექსი	0108
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	*https://skolebi.emis.ge/schools/400*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi47@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2931591 2997128

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N863194 11.07.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17.08.2023-18.08.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9
	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9
	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი შ. ჩიტაძის ქ. N9

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანანმშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მოიპოვეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში კარგად მოქმედებს სასწავლო გარემოსთან მოსწალეთა ადამპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას შემუშვებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლისა და ფსიქოლოგის როლს. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია. განსაზღვრულია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ პროცესის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. საინტერესოდ ხორციელდება ეს წესი პრაქტიკაში. იგეგმება და ხორციელდება საბავშვო ბაღის დამამთვრებელი ჯგუფის აღსაზრდელთა ვიზიტი სკოლაში. მომავალი მოსწავლეები ეცნობიან სასკოლო გარემოს. მოსწავლეებისთვის, სწავლის დაწყებამდე ან სწავლის დაწყების პირველივე დღეს, გათვალისწინებულია საორიენტაციო ვიზიტი სკოლაში, რომლის დროსაც მოსწავლე ეცნობა სასკოლო გარემოს, იღებს ინფორმაციას მისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების თაობაზე. პირველ კლასში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალური მასწავლებლები ადგენენ ტრანზიციის გეგმას, რომელშიც გაწერილია პასუხისმგებელი პირები, აქტივობები მონაწილე მხარეებისთვის, განხორციელების ვადები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტრება - მოეწყოს: პანდუსი, შენობაში არსებულ კიბის საფეხურებზე შესაბამისი კონსტრუქცია, რომელიც საჭიროებების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეს გადაადგილებაში, ადაპტირებული საპირფარეშო (01.08.2024)*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*1. მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი* *2. მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად მიღებული მითითებების შესრულება*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვოს ამწოვი კარადით და რეაგენტებით, მოწესრიგდეს ლაბორატორიის სათავსო.*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, მეტწილად შესაბამისად შეაფასა III სტანდარტის N3.5.1.3 ინდიკატორი; შესაბამისად შეაფასა I, II, III და IV სტადანარტი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლისა და მასწავლებლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვას, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტულური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ხედვის თანახმად, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ასევე მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი შეთავაზებით, სკოლის მომავალი კურსდამთავრებულები, შეძლებენ საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზაციას, უკეთესად წარმოჩენასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში. ამისათვის სკოლა მზადაა შეუქმნას მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობა მისცენ მათ წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური ინდივიდუალიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლისა და მასწავლებლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვას, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტულური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ხედვის თანახმად, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ასევე მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი შეთავაზებით, სკოლის მომავალი კურსდამთავრებულები, შეძლებენ საკუთარი თავის

მაქსიმალურად რეალიზაციას, უკეთესად წარმოჩენასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში. ამისათვის სკოლა მზადაა შეუქმნას მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობა მისცენ მათ წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური ინდივიდუალიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის სამეურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის N2-48 ბრძანების თანახმად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშვებისთვის საჭირო ღონისიებების განხორციელების მიზნით. სამუშაო ჯგუფი შედგება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისგან. აღნიშნული ჯგუფის მიერ, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემუშვებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და 2023 წლის 2 ივნისს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შეითანხმა სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტი. სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვის და სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების მონაწილეობით. პროექტი განთავსდა სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ, განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში, შენობის ყველა სართულზე. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდათ სადამრიგებლო საათის ფარგლებში. გაზიარდა სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით“ განსაზღვრულ ტიპს და სტატუსს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. დირექტორის 2023 წლის 31 მარტის N2-48 ბრძანება „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშვებისთვის საჭირო ღონისიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“
3. პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 29 მაისის სხდომის ოქმი
5. სამეურვეო საბჭოს 2023 02 ივნისის სხდომის ოქმი
6. სამუშაო ჯგუფის . 2023 წლის 22 მაისის სხდომის ოქმი
7. კლასის საათის ოქმები
8. სკოლის ვიზუალური დათვალიერება
9. სკოლის ვებ გვერდი

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სტრეტეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპია სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული სუბიექტის მხრიდან კრიტიკული მოსაზრების გამოთქმისა და რეკომენდაციების წარმოდგენის შესაძლებლობას; სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა იდენტიფიცირდეს არსებული რისკები და გამოწვევები, განათლების მიმართულებით საზოგადოების საჭიროებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდ წელზე გათვლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორინეტირებულია უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლისა და მასწავლებლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვას, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტულური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ხედვის თანახმად, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, ასევე მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი შეთავაზებით, სკოლის მომავალი კურსდამთავრებულები, შეძლებენ საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზაციას, უკეთესად წარმოჩენასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში. ამისათვის სკოლა მზადაა შეუქმნას მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო პირობები და შესაძლებლობა მისცენ მათ წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური ინდივიდუალიზმი. სტრატეგიული განვითრების წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის სტრტეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 04 ივლისს N10 სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 04 ივლისს N10 სხდომაზე. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

2. სტრატეგიული განვითერების შვიდწლიანი გეგმა

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი

მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ამ მიზნით შემქნილი სამუშაო ჯგუფი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგრიშს მათ მიერ შესრულებული სამუშოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით, გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინება საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა SWOT ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს შესაძლებლობებსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებს, შეისწავლის ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებებს. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, რომელშიც ასევე აღწერილია წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა
3. სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუქნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთულები: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის სტურქტურა და სკოლაში თანამდებობრივი დაქვემდებარება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აპრილის N2-57 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რის საფუძველზეც, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთულები/პირების ფუნქციები მკაფიოდაა გასაზღვრული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო აღწერილობები შეესაბამება სამოქმედო გეგმაში გაწერილ პასუხისმგებლობებს. დასაქმებულები

აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აპრილის N2-57 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“.*
2. *სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N2-177 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“.*
3. *2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; სახელფასო სისტემის, როგორც წახალისებით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებით; პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. ხორციელდება

ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებული პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის 2020 წლის 20 ოქტომბრის N1კ-93 ბრძანებით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საჭიროებების გამოვლენა ძირითადად ხდება ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგად გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე. ხარისხის განვითარების ჯგუფი საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმეტში აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

2022 წლის 26 სექტემბრის N1/კ-110 ბრძანებით სკოლასში დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მონიტორინგის და შეფასების წესი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაწერილი უფლება-მოვალეობების საფუძველზე. შეფასების ინდიკატორები საშუალებას იძლევა შეფასდეს სამუშოს შესრულების ხარისხი. ასევე სკოლამ უნდა შეძლოს არადამაკმაყოფილებელი შედეგების მართვა, რაც გულისმოხმობს სუსტი მხარეების გამოვლენასა და აღმოფხვრას პერსონალის საქმიანობის პროცესში.

საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში კადრების შერჩევა ხდება ობიექტურობის პრინციპის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, ცხადდება კონკურსი და ქვეყნდება შესაბამის გვერდზე. განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურის ეტაპები, ვადები. კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გასაჩივრების მიზნით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია. სკოლის პერსონალის პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულია 91 პედაგოგი - 72 უფროსი და 18 წამყვანი, 1 მენტორი მასწავლებელი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აპრილის N2-57 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები და განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ინდიკატორი დაკამყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულემების შემუშვებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით აქტივობები, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს და საგნობრივ კათედრებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარამტებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

წახალისება გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, რომლის თანახმად, წახალისების ღონისძიებები განხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვის, ასევე მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. ასევე კათედრის დებულებით, კათედრა უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2020 წლის 20 ოქტომბრის N1კ-93 ბრძანება „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის შექმნის თაობაზე“*
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
3. *სკოლის სტრუქტურა*
4. *თანამდებობრივი ინსტრუქციები*
5. *შინაგანაწესი*
6. *სსიპ ქალაქ თბილისის №47 საჯარო სკოლის კათედრის დებულება*
7. *2023-2024 სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

შეფასება:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანამხად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

• რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
• რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

სკოლაში შემქნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთადსწრების შედეგების განხილვა და ანალიზი.

2022 წლის 26 სექტემბრის N1/კ-110 ბრძანებით სკოლასში დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მონიტორინგის და შეფასების წესი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაწერილი უფლება-მოვალეობების საფუძველზე. შეფასების ინდიკატორები საშუალებას იძლევა შეფასდეს სამუშოს შესრულების ხარისხი. ასევე სკოლამ შეძლოს არადამაკმაყოფილებელი შედეგების მართვა, რაც გულისმოხმობს სუსტი მხარეების გამოვლენასა და აღმოფხრას პერსონალის საქმიანობის პროცესში.

სკოლა აქტიურად იყენებს თვითშეფასების ცხრილებს მასწავლებელთა საჭიროების დადგენის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას.

სკოლაში შემქნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთადსწრების შედეგების განხილვა და ანალიზი. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის მიმართულებით.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

3. სკოლას შემუშვებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანამხად სკოლა ახორციელებებს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას. სკოლა ზრუნავს არა მარტო მასწავლებელების, არამედ სხვა თანამშრომლების კარიერულ განვითარებაზე. სკოლის ბუღალტერმა გაიარა ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიდან ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებულია იმგვარი გარემოს შექმნაზე, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებაზე და დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება დამკვიდრებული პრაქტიკაა. სკოლაში არსებული რესურსები თანაბრადაა ხელმისაწვდომი თანამშრომლებისთვის. კათედრის თავმჯდომარე კორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოს ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას კათედრის წევრთა შორის. თუ ახალი კადრი მასწავლებლობის მაძიებელია, ხდება ტუტორის მიმაგრება, რომელიც ეხმარება მას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილიებულია

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, სკოლაში დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები (ორგანიზაციული კულტურა) და სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით დასქმებული გარანტირებულად მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. წახალისების ღონისძიებები განხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. პერსონალის წახალისების ფორმები განსაზღრულია შინაგანაწესით.

მიმდინარე წელს სკოლის მიერ სტატუსის ამღლებაზე წარდგენილ იქნა 9 პედაგოგი, მათგან 1 მენტორის , ხოლო 8 წამყვანის სტატუსის მინიჭების მიზნით. შესაბამისი სტატუსი მიენიჭა ყველა მათგანს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
2. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*
3. *შინაგანაწესი*
4. *სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მონიტორინგისა და შფასების წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023 წლის 11 აპრილის N2-56 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია ხარიხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ერთი მხირვ განსაზღვრავს:

- შიდა ხარსიხის მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს სასკოლო პროცესების დაგეგმის, განხორციელების, შემოწმებისა და გავნითარების ეტაპებს.
- გარე ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიურ მონიტორინგს, ასევე, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას.

2022 წლის 09 სექტემბრის N1/კ-110 ბრძანებით, სკოლაში დამკტიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N47 საჯარო სკოლის მონიტორინგისა და შეფასების წესი“. რომლის თანახმად, მონიტორინგის განხორციელების ამოცანებია, სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება, მასწავლებლების საქმიანობის შეფასება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში, ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია რომელიც ითვალისიწინებს გეგმების განხოციელების მონიტორინგს,* კურუკულიმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლებიც არეგულირებს მმართველობით, ძირითად პროცესებს. დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები სტრუქტურული ერთულების /პირებისთვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. სკოლაში დირექტორის 2023 წლის 09 ივლისის N2-179 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომელსა და სკოლას, მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
2. *კურუკულიმის შემუშავების მეთოდოლოგია*
3. *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
4. *თანამდებობრივი ინსტრუქციები*
5. *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი*
6. *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
7. *შინაგანაწესი*
8. *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება*
9. შრომითი ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების/კომუნიკაციი წესი, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და შესაძლებებლი იყოს მისი გადამოწმება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს, სკოლა გამოიყენებს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში კითხვარების საშულებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საჭიროებების დადგენა, დანერგილი პრაქტიკაა. მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, სოციალური ქსელში. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის ფორმებს.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი; დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე; მოსწავლეთა თვითმმართველობა; მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა*
2. *მშობელთან ურთიერთობის დებულება*
3. *მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის ინსტრუმენტები*
4. *თვითმმართველობის არჩევნების თაობაზე დოკუმენტაცია*
5. *2019 წლის 19 თებერვლის N1კ-1 ბრძანება „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“*
6. *2022 წლის 15 სექტემბრის N2-303 ბრძანება „სსსმ მოსაავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შმუშვების მიზნით სამუშუ ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები. შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები. სკოლაში დასაქმებული 5 მანდატური. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია სათვალთვალო კამერები. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. 2021 წელს განხორციელდა სკოლის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მიწერილობა. 2022 წელს სკოლამ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა გამოყოფილიყო შესაბამისი თანხა მიწერილობაში დაფიქსირებული მოთხოვნების შესრულების მიზნით. 2022 წელს სკოლას მიღებული აქვს შესაბამისი დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი. ექიმის

კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი". სკოლის დირექტორის 2019 წლის 01 მარტის N1კ-12 ბრძანებით, განსაზღრულია სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებმოსილი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვაზე, მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგზე და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელებაზე. 2022 წელს სკოლას მიღებული აქვს შესაბამისი დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ.

მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად მიღებული მითითებების შესრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში რეგულირდება უცხო პირთა შესვლა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სკოლის მანდატურებთან ერთად, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის დროს სართულების მიხედვით შემუშავებული პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში აკრძალულია თამბაქოს მოხმარება და დამტკიცებულია სკოლის შენობასა და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია აქტივობები მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა, კლუბების/წრეების ფუნქციონირება, შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება. 2019 წლის 04 იანვრის N2-01 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია", რომელიც განსაზღრავს პრობლემის იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულია ექვსი დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შენობის დასუფთავებას. სკოლის ექიმს ევალება ზედმხედველობა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე. უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებლი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დეტალების თაობაზე. თავის

მხრივ, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს სკოლის ტექნიკური პერსონალის საქმიანობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N2-121 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მონაცემები მუშავდება კანონიერად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ინტერესთა დაცვით, მიზნის პროპორციულად, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა განადგურდეს. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშვება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დირექტორის 2014 წლის 1/კ-60 ბრძანებით, განსაზღვრულია სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების შეტანაზე, ინფორმაციის კორექტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საინფორმაციო მენეჯერს. მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვასა და მესამე პირისგან დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი, რომელმაც უნდა დაიცვას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შედეგად მისთვის ცნობილი თანამშრომელთა/მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. კომპიუტერები უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების. იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგანგებო მართვის გეგმა*
2. *საგანგებო შტაბიტს შემქნის შესახებ ბრძანება*
3. *სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე მიწერილობა,*
4. *უსაფრთხოების პოლიტიკა*
5. *უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება*

6. *თამბაქოს მოხმარების აკრძალვა*
7. *სამედიცინო აღმოჩენის წესი*
8. *შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა*
9. *დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N2-121 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისი N47 საჯარო სკოლაში პერსნალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცეების თაობაზე“*
10. *დირექტორის 2019 წლის 01 მარტის N1კ-12 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისი N47 სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებმოსილი პირის განსაზღრის შესახებ“*
11. *მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2897 კვ. მ მიწის ფართობზე განთავსებულია სკოლის 8562,71 კვ.მ შენობა. აღნიშნული ფართი სკოლას, არსებობის ვადით, გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით. სკოლის შენობა არის 4 სართულიანი, შენობას აქვს ნულოვანი ცოკოლის სართული. სკოლაში არის 57 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, დირექციისათვის განკუთვნილი ოთახები, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. სულ სკოლაში არის 99 კომპიუტერი, 7 პრინტერი, 14 პროექტორი. სკოლაში არის 1 პიანინო, სპორტულ დარბაზში განთავსებულია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელძღვანელოებს. ყველა საკლასო ოთახში არის მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი მოსწავლის მერხი და სკამი, ასევე მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა. საკლასო ოთხებში ასევე განლაგებულია წიგნების კარადა და საკიდები. სკოლაში არის 34 სველი წერტილი, გოგონების 16, ვაჟების 16, პერსონალის-2.

სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვოს ამწოვი კარადით და რეაგენტებით, მოწესრიგდეს ლაბორატორიის სათავსო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკა, კომპიუტერულ და სხვა მატერიალურ რესურსებზე თანაბრად არის უზრუნველყოფილი წვდომა სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებითვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შენობა არ არის ადაპტირებული. არ აქვს პანდუსი, არ აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუტურის განვითარების სააგენტოს. სააგენტოდან მიღებული კორესპონდენციით ირკვევა, რომ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მომავალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ თბილისის №47 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის სამუშაოების საკითხის განხილვა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლაში ადაპტირებული გარემოს მოწყობა უზრუნველყოფილი იქნება 2024 წლის 01 აგვისტომდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. მოსწავლეებს დაგეგმილი ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელებისათვის შეუძლიათ ისარგებლონ ინფრასტრუქტურით და სხვადასხვა ინვენტარით. სკოლის შენობაში ეწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა. სპორტული და სხვა ღონისძიებების განხორციელებების მიზნით, მოსწავლეები შეუზღუდავად იყენებენ სკოლაში არსებულ რესურსებსა და სპორტულ ინვენტარს. საკლუბო აქტივობების განხორცილებისთვის უზრუნველყოფილია სკოლაში არსებულ რესურსებზე წვდომა. სკოლის დირექტორის განცხადებით, შეხვედრებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისთვის, მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სკოლის ბიბლიოთეკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღრული საჭირო რესურსებით. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის არის ყველა საჭირო, მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ელექტრონული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვიზუალური დათვალიერება

2. განხორცილებული პროექტების ამსახველი მასალები

3. ელექტროული რესურსები

4. ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 64 პერსონალური და 35 პორტატული კომპიუტერით. სკოლაში არის 7 პრინტერი და 14 პროექტორი. კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სკოლის დირექცია, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი, ბუღალტერი. მათ ასევე აქვს პრინტერი და სკანერი. საგნობრივ კათედრებს აქვს სამუშაო ოთახები, რომლებიც ასევე აღჭურვილია კომპიუტერებით და პრინტერებით. ასევე სამასწავლებლოშიც განთავსებულია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა. სკოლამ ტექნოლოგიებით მუშაობის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით შეიძინა ინტერნეტის სიჩქარის გამაძლიერებელი მოწყობილობა. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მატერიალური რესუსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების, მათ შორის კომპიუტერული კაბინეტის ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის ციფრულ განვითარების გეგმა*
2. *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
3. *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 აპრილის N2-51 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი. სკოლაში საქმის წარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)- საშუალებით და მას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - tbilisi47@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eSchool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 აპრილის N2-51 ბრძანება „საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“*
2. *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების/კომუნიკაციი წესი, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და შესაძლებელი იყოს მისი გადამოწმება. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის ფორმებს. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის მიმდინარე პროცესების თაობაზე, კონკურსების, მიდმინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საზოგადეობასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყური და შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში კითხვარების საშუალებით, სხვადასხვა აქტუალური საკითხის თაობაზე, მშობლებიდან ინფორმაციის მიღება, დამკვიდრებული პრაქტიკაა. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს, სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ გვერდი
2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
4. მშობელთა გამოკითხვის ინსტრუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ძირითადად ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა მას აქვს აგრეთვე ეკონომიური შემოსავლები, რომელსაც მიმართავს სკოლის საჭიროებებისაკენ. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, პერიოდულ სარემონტო სამუშაოებზე. საჭიროებების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის კორექტირება

და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. ხორციელდება ბაზრის კვლევა უშუალოდ შესყიდვის განხორციელების წინ. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე ანგარიშით წარადგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინასური ანგარიშგების დოკუმენტი. განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიმართავს სკოლის დირექტორს და აცნობს მას ბაზრის კვლევის შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022 წლი 08 დეკემბრის სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმის N14
2. საპროგნოზო ბიუჯეტი
4. 2023 წლი 01 მაისის სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმის N4
5. 2022 წლის 17 ნოემბრის N1/კ-145 ბრძანება 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვებისწლიური გეგმის დამტკიცების შესახებ
6. კორექტირების ბრძანება
7. 2022 წლის 17 ნოებრის N1/კ - 142 ბრძანება შესყიდვების განხორციელების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობაზე
8. 2021 წლის 12 ნოემბრის ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები უზრუნველყოფილია, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების საფუძველზე. სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, რომლის საშუალო საფეხურის თავმჯდომარე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრი, მონაწილეობას იღებს სამეურვეო საბჭოს მუშაობაში და სარგებლობს ხმის უფლებით. მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს საკუთარი დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის აგრეთვე მრჩეველთა საბჭოს წევრი. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაშიც წაროდგენილია მოსწავლეები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამოცდების ტიპები, რომლის შესახებაც მოსწავლეები ინფორმირებული არიან სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ექსტრნატის და საშემოდგომო გამოცდების შესახებ. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშვება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებებების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მშობლებს სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, ამონარიდებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმიდან, ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. როგორც ავღნიშნეთ, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მართვაში. ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობებში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო. ასევე, მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას. სკოლამ შეიმუშავა და მშობლებს გააცნო მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია უფლებები და ურთიერთობის ფორმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებით განსაზღრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებება-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი

2. მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების შესახებ დოკუმენტაცია

3. მშობელთა კრების ოქმი

4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების შესაბამისად. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლა ჭიროების შემთხვევაში მიმართავს საგანმანათლებლო რესურცენტრს განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის ან კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ხდება შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. უმეტეს შემთხვევაში მშობელი სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სკოლას მიმართავს საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლის გამო. სტატუსის აღდგენა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლაში ფუნქციონირებდა კალათბურთის წრე. წრის ფუნქციონირების პირობები განსაზღრული იყო დირექტორის ბრძანებით. იმ მოსწავლის მშობელთან, რომელიც სარგებლობდა წრის მომსახურებით, გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილი იყო მომსახურების ღირებულება, მხარეთა ვალდებულებები. ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების თაობაზე, განთავსებულია სკოლის ვებ გერდზე.

სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა კრების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ არჩევითი საგნის არჩევის საკითხი განხილული იყო მოსწავლეებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მშობლებმა გამოხატეს სურვილი, რომ სკოლაში მომავალ სასწავლო წელს გაიხსნა ცეკვის წრე. სკოლამ გაითვალისწინა მშობლების ინტერესი - 2023-2024 წელს იფუნქციონირებს ცეკვის წრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ დაგეგმილი შეთავაზებული ყველა მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. ინფორმაცია განთვსებულია სკოლის ვებ გვერდზე. სკოლის დირექტორის განცხადებით, მშობლები დამატებით ინფორმაციას კლასის დამრიგებლებისაგან ძირითადად იღებენ სოციალური ქსელის საშუალებით, თუმცა ინფორმაცია მშობლისთვის ცნობილი შესაძლებელია გახდეს პირადი შეხვედრების დროსაც. სკოლაში ფუნქციონირებს კალათბურთის წრე. ასევე სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასკოლო ფართი გაცემულია გახანგრძლივებული წრისა და სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
2. მოსწავლის ამორიცხვის გრძანება,
3. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების გრძანება
4. მოსწავლის ჩარიცხვის გრძანება
5. საფეხურის დაძლევის გრძანება
6. საფეხურის დაძლევის ოქმი
7. მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევის თაობაზე
8. მოსწავლეთა კრების ოქმი არჩევითი საგნის არჩევის თაობაზე
9. იჯარის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი და უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთათვის მის გაცნობას. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლისა და ფსიქოლოგის როლს. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია. განსაზღვრულია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ პროცესის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლა, სწავლის დაწყების მომენტიდან, ხელს უწყობს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციას. სწავლის დაწყებამდე ან სწავლის დაწყების პირველივე დღეს, გათვალისწინებულია საორიენტაციო ვიზიტი სკოლაში, რომლის დროსაც მოსწავლე ეცნობა სასკოლო გარემოს, მას აწვდიან ინფორმაციას მისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების თაობაზე. მობილობის წესით, სკოლაში ახალი მოსწავლის გადმოსვლის შემთხევვაში, მოსწავლის ატაპტაციის პროცესში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დამრიგებელს ჯგუფური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ხელი უნდა შეუწყოს ახალი მოსწავლის კლასში ინტეგრირებას.

დირექტორის განცხადებით, სკოლას წლების განმავლობაში დანერგილი აქვს თანამშრომლობითი პრაქტიკა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებთან. აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას და წინასწარ ათვალიერებენ სასკოლო გარემოს.

სსსმ მოსწავლისთვის ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, იქმნება ისგ ჯგუფი და მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისიწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა, საშემოდგომო გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეების კონსულტაციებით უზრუნველყოფა. საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში ექსტერნატის გამოცდის დანიშვნის თაობაზე, მშობელთა ინფორმირება ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაცია სოციალური ქსელისა და სკოლაში საჯარო სივრცეში განთავსების საშუალებით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მეორე ეტაპისათვის დაგეგმოს დედმამიშვილის რეგისტრაცია. სკოლას აქვს საჭიროებს შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის გამოცდილება. სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ექსტერნის გამოცდებზე დაარეგისტრირებულ პირთათვის, სკოლა ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და აქტივობები. **სკოლაში** ფუნქციონირებს „ეკოკლუბი“, სამოქალაქო განათლების კლუბი - „მათემატიკის მოყვარულთა კლუბი“, „მომავლის მოქალაქეები“, “წიგნის კითხვის კლუბი“, სახელოვნებო კლუბი „პინაკოთეკა“, ლიტერატურული კლუბი „ლიტერატურა გვაერთიანებს“, გერმანული ენის კლუბი. კლუბებში ჩართულობა მოსწავლეებს ინტერსებისა და შესაძლებლობების რეალიზაციას საშუალებას აძლევს.

სკოლაში ხორციელდება პროექტები, სპორტული ღონისძიებები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ხდება გამარჯვებულის გამოვლენა. წახალისების მიზნით, მოსწავლეებს, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, გადაეცემათ მადლობის სიგელები. VII კლასის სსსმ მოსწავლეს სკოლამ გაუწია რეკომენდაცია თეატრ „აზდაკის“ რეჟისორთან და ამჟამად მოსწავლე დაკავებულია თეატრში მსახიობის პოზიციაზე და მონაწილეობს სხვადასხვა სპექტაკლებში. ასევე, სსსმ მოსწავლე არის სამხატვრო სტუდიის წევრი და მოაწყო პერსონალური გამოფენა

მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში ტარდება წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

სკოლაში ფუქნციონირებს გახანგრძლივებული წრე, კალათბრუთის წრე.

სასკოლო კლუბები ფუნქციონირებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ხელმძღვანელობით კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა კრების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ არჩევითი საგნის არჩევის საკითხი განხილული იყო მოსწავლეებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მშობლებმა გამოხატეს სურვილი, რომ სკოლაში მომავალ სასწავლო წელს გაიხსნა ცეკვის წრე. სკოლამ გაითვალისწინა მშობლების ინტერესი, 2023-2024 წელს იფუნქციონირებს ცეკვის წრე.

სკოლა გეგმავს ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მაქსიმალურად გათივალისწინოს სურვილები და მოლოდინები, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა მოთხოვნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მოსწავლის ადაპტაციის წესი*
2. *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*
3. *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი*
4. *მშობელთა კრების ოქმი*
5. *მოსწავლეა კრების ოქმი*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწანვლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც წამყვანი მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს სკოლაში მოსწავლეების პროფორიენტაციის ხელშეწყობას. სკოლა მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს

პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ ღია კარის დღეების ორგანიზებას. 2022 წლის დეკემბერში მოსწავლეები შეხვდნენ მოსამართლეს, ჟურნალისტს, მეწარმეს, ტურისტული კომპანიის წარმომადგენელს. ასევე უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმოამდგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, სკოლა თანამშრომლობს IT აკადემიასთან. მათ უშუალო ვიზიტის დროს მოსწავლეებს შესთავაზეს სხვადასხვა პროგრამები, რომლებსაც ისინი მთელი თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ. კურსის დასრულების შემდეგ გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი. ასევე, მოსწავლეები იმყოფებოდნენ რეგიონში და გაეცნენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიას. საინტერესო პროექტი განხორციელდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით - მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ და თავად მიეღოთ მონაწილეობა ხალხური რეწვის, გობელენის, ფარდაგის, თექის შემქნის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, ხელშეწყობას. სკოლა მოსწავლეებისთვის უზრუნვლყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ ღია კარის დღეების ორგანიზებას, ეწყობა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის პირებთან, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება სხვადასხვა პირდაპირ პროფესიონალებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა გეგმავს კვლევის ჩატარებას კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ მოსაზრებები ე.წ. დეფიციტურ პროფესიებთან დაკავშირებით, ასევე მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში დამრიგებლის პასუხისმგებლობით გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი - „მეწარმეობა - ხალხური რეწვა“
2. პროექტი - „სასოფლო-სამეურნეო პროფესიები (მევენახეობა-მეღვინეობა“
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
4. კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი)
5. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლითაც რეგულირდება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ყველა ეტაპი. განსაზღვრულია სასწავლო წლის განმავლობაში დადგეგმილი აქტივობები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, განხორციელების პერიოდი. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. ინდიავიდუალური სასწავლო გეგმის განხორცილების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზურნველყოფს სსსმ მოსწავლის შინ სწავლების რეჟმზე გადაყვანას.

პირველ კლასში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისვის სპეციალური მასწავლებლები ადგენენ ტრანზიციის გეგმას, რომელშიც გაწერილია აქტივობები მონაწილე მხარეებისთვის, განხორციელების ვადები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სსსმ მოსწავლეები ფასდებიან სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ასევე იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალლური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს. კლასებში, სადაც ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, სკოლის დირექტორის განცხადებით, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც მიმართულია ცნობადობის ამაღლებასთან. მაგალითად აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით. დირექტორის უშუალო ინიციატივით და ორგანიზებით, მე-7 კლასის სსსმ მოსწავლეს სკოლამ გაუწია რეკომენდაცია თეატრ „აზდაკის“ რეჟისორთან და ამჟამად მოსწავლე დაკავებულია თეატრში მსახიობის პოზიციაზე და მონაწილეობს სხვადასხვა სპექტაკლებში. ასევე, სსსმ მოსწავლე არის სამხატვრო სტუდიის წევრი და მოაწყო პერსონალური გამოფენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
2. ინდივიდულაური სასწავლო გეგმა
3. სკოლის დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის თაობაზე
4. სკოლის დირექტორის ბრძანება ინლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი შექმნის თაობაზე
5. სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის თაობაზე
6. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2022 წლის სექტემბრიდან სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასკოლო კვების ბლოკის ფუნქციონირების მიზნით გაცემული აქვს ფართი. ფართი გაცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით - სამეურვეო საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობების საფუძველზე. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით, იჯარის ფორმითაა გაცემული აგრეთვე ფართი გახანგრძლივებული წრის ფუნქციონირების მიზნით. 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლაში ფუნქციონირებდა კალათბურთის წრე. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდება სასკოლო ექსკურსიის განხორციელების დროს, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებისა და სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლაში ფუნქციონირებდა კალათბურთის წრე. წრე ფუნქცნიონირებდა სამეურვეო საბჭოსთან შეთნხმებით, ფუნქციონირების პირობები განსაზღრული იყო დირექტორის ბრძანებით. არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით - იმ მოსწავლის მშობელთან, რომელიც სარგებლობდა წრის მომსახურებით, გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილი იყო მომსახურების ღირებულება, მხარეთა ვალდებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვით. სკოლის ტერიტორიაზე მყოფ პირთა ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის მიერ ფართის იჯარით გაცემის თაობაზე დოკუმენტაცია*
2. *სკოლაში განხორციელებული ექსკურსიი თობაზე დოკუმენტაცია*
3. *სკოლის შინაგანაწესი*
4. *სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. ამ პროცესში ჩართული არიან მშობლებიც და მოსწავლეებიც. ისინი კლასის ხელმძღვანელებისაგან იღებენ საჭირო ინფორმაციას მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში არსებულ დახურულ ჯგუფებში, ასევე პირისპირ, ზეპირი კომუნიკაციით. ითვალისწინებენ მათ შეხედულებებსა და ინტერესებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა გაითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და მიდგომებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. კათედრაზე სხვადასხვა საგნის პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე , მიდიან კონსესუსამდე და ახორციელებენ ინტეგრირებულ პროექტებს. ხდება კათედრაზე შეკრებები, მსჯელობა კურიკულუმის ირგვლივ და მასწავლებელთა შეხედულებების და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; სკოლას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, მისია და ღირებულებები. ამავე დროს ის ზრუნავს სკოლის ფილოსოფიის გადახედვაზე საჭიროებების გათვალისწინებით. ამის დასტურია კვლევა რომელიც ეხება სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასებას. კვლევის მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციის მისიის, ხედვის და სტრატეგიული გეგმის გადახედვა /კორექტირება . ამით დასტურდება სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში. კურიკულუმში ასახულია სასკოლო სზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, ასევე გათვალისწინებული არის მშობლის ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. სკოლის კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და

მათი ინტერესების კვლევას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე შექმნილია კლუბები და წრეები, იგეგმება არაფორმალური აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამები. საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია, რომ სკოლაში დაგეგმილია მოსწავლეთათვის სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო მომსახურება, როგორიცაა, საჭიროებისას შინსწავლება და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს მშობლებთან კომუნიკაციით და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე განხორციელებული პროექტი, მათ შორის ინტეგრირებული პროექტი: „კიბერდანაშაული-კიბერბულინგი“ და „ ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია და შემოქმედება“ და მოსწავლეთა ნამუშევრები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს სასკოლო საზოგადოება, კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით ხორციელდება, რაც კათედრის შეხვედრების სამუშაო გეგმაშიც ჩანს. პედაგოგებმა ინტერვიუში გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი თანამშრომლობენ სხვა საგნის მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას იყენებენ კურიკულუმის შემუშავებისას, მაგ. მათემატიკაში საჭირო ცხრილების და დიაგრამების ასაგებად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შესწავლილი Ms. Excel ელექტრონული ცხრილების პროგრამა.ასევე სხვა საგნების დავალებების საპრეზენტაციოდ მოსწავლეები იყენებენ PowerPoint საპრეზენტაციო პროგრამას. კურიკულუმებში გათვლისწინებულია მოსწავლეთა, ადგილობრივი თემის, მშობლების ინტერესები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

4. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწვალო გეგმა გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, ასევე გაცნობილია მშობლებისათვის მშობელთა კრებებზე. არსებული პრაქტიკის თანახმად, კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და სასწავლო წლის დასაწყიში კომპლექსური დავალების ბარათები ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის (მშობოლებს გაეგზავნებათ მესინჯერ ჯგუფებში), საჭიროების შემთხვევაში მოხდება მშობლების ინფორმირებულობა, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა უკუკავშირებს გაითვალისწინებენ შემდგომი განვითარებისთვის. სკოლას აქვს თავისი გვერდი სოციალურ ქსელში, რომელშიც პერიოდულად განათავსებს სკოლაში განხორციელებულ აქტივობების ამსახველ მასალებს. სკოლას უკვე აქვს ვებგვერდი, რომელზეც აქტიურ მუშაობას მომავალი სასწავლო წლიდან განახორციელებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე*
3. *მშობელთა კრების ოქმები.*
4. *საგნობრივი კურიკულუმები*
5. *მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმები*
6. *საკლუბო მუშაობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტალური მასალა.*
7. *კათედრის სხდომის ოქმები.*
8. *სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი*
9. *საინფორმაციო დაფა.*
10. *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/skola47*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო კათედრა - დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები ,შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, თანაშეფასების, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობები და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა. კომპლექსური დავალებები განხილულია, როგორც შუალედური მიზნები. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განისაზღვრება საგნობრივი სტანდარტზე დაფუძნებით და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან თითოეული მათგანი შეიცავს გამოწვევას, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით, არამედ სხვა მიმართულებითაც მიაღწიოს წარმატებას; სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეთა მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები.

სახელმწიფო ენა - კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. როგორც დაწყებითი კათედრის წევრები აღნიშნავენ, სკოლაში აქტიურად ინერგება კომპლექსური დავალებები. გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, (მაგ: კომპლექსური დავალება ქართულში: მოთხრობის შექმნა ძაღლისა და ადამიანის მეგობრობაზე), განხორცილებეული აქტივობები. არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარება მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში. როცა ცოდნის აგება მიმდინარეობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მოსწავლეები უფრო აქტიურები არიან, რადგან კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოსაა მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო), რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, იყო მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა - სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა <u>**აკმაყოფილებს**</u> სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხვნებიდან. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომელის ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები სწავლასწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება და მოსწავლის ცოდნას ადასტურებს საკითხთან მიმართებით. შერჩეული თემები სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლის შინაგან მოტივაციას ამაღლებს და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა.

უცხოური ენები - წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ სწავლის პროცესში მოსწვალე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეთა ნამუშევრები.

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად

პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ორიენტირება ხდება საფეხური ბოლოს მისაღწევი შედეგებით. მასწავლებლების მიერ თემების შერჩევისას გათვალისწინებულიიქნა ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესი და საჭიროება. თითოეული თემის შესაბამისად გაიწერა კომპლექსური დავალებები, რომლებიც კურიკულუმებში ამ ეტაპზე პირობის სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დღემდე განხორციელებულ ფესტივალებსა თუ მოძრავ თამაშებზე და იმ ეტაპებზე, რომელსაც გაივლიან ახალი კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა და მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს,

ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არჩევანს. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. დაწყებით კლასებში სკოლას ყავს მოძრაობა შეზღუდული შშმ მოსწავლე, რომლის სწავლების პროცესიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით შინ სწავლებით მიმდინარეობს, მომდევნო სასწავლო წლის გეგმის საგნობრივ კურიკულუმშიც გათვალისწინებულია მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოდიფიცირებული დავალებები.

უცხოური ენები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. საერთო შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროგრამა. ამჟამად, სკოლაში ირიცხება 1754 მოსწავლე, ამ ეტაპზე 19 სსსმ მოსწავლიდან დაწყებით საფეხურზე ჰყავთ 16. სკოლაში შექმნილია ისგ-ს ჯგუფი, რომელშიც შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი, ფსიქოლოგი, სპეც მასწავლებელი, მოსწავლის მშობელი. ისგ-ს ჯგუფი შეისწავლის სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლაში წარმატებით ხორციელდებოდა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები იღებდნენ შესაბამის განათლებას. იდენტიფიცირებული იყო 19 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც სასწავლო წლის დასაწყისშივე საგნის მასწავლებლებმა სპეციალურ მასწავლებელთან ერთად შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც გაწერილი იყო გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. აღნიშნავენ, რომ სკოლას რესურს ოთახი აღჭურვილია როგორც ტექნიკური საშუალებებით (ლეპტოპით,

პრინტერით და ა. შ), ისე ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და მოცემული დროისათვის დასახული მიზნები სრულად არის განხორციელებული.
საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ და მოსწავლეებთან იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. საგნის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ანუ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, ასევე ჩანს დავალებების შესრულების საშუალებების არჩევის შესაძლებლობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევას. სკოლის მიერ წარმოდგენილია სპეციალური მასწავლებლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო ენა - სკოლას აქვს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გამოცდილება. სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. აღნიშნული გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდ.გეგმის შედგენის შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ სასწავლო პროცესში გეგმავენ ისეთ აქტივობებს,რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, სწავლის სტილსა და ინტერესებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის უფრო მეტად დაიხვეწება სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც განხორციელდება მესამე თაობის ახალ ეროვნულ საწავლო გეგმაზე დაყრდნობით, შესაბამისად კომპლექსური დავალებები ადაპტირებული და მორგებული იქნება თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ვინაიდან სკოლა არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, კურიკულუმი წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია მათემატიკაში ერთი მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას თემები, ქვეცნებები, საკითხები შერჩეული იქნა საფეხურის შესაბამისად და გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა შეხვედრისას

ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ინდივიდუალურ მიდგომებზე, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარეობდა. ასევე აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების, საკითხების თუ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოხდება დიფერენცირებული მიდგომა და მოსწავლეთათვის მათზე მორგებული და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობების შეთავაზება, როგორიცაა ფესტივალის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება, გაფორმება, პრეზენტაციის შექმნა, სპორტული დარბაზის გაფორმება და სხვა.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინკლუზიურის შუდა მონიტორინგის ბრძანება , სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 1-6 კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ვიზიტისას წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ მე- 5 კლასის მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასისთვის განმსაზღვრელი და 1 - 6 კლასებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნილი ნიმუშები, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოკვეთეს შეფასების ძირითადი ამოცანები და ისაუბრეს

ასევე განმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. რაც შეეხებაგანმსაზღვრელ შეფასებას, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა მისი ეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, მათ შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. აღნიშნული ფაქტიგანაპირობებს იმას, რომ საბაზო საფეხურზე კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები: სკოლას წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდა განზოგადებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები-ინტერვიუს დროს გამოვითხოვე და მეორე დღეს გამოიგზავნა ორივე სახის შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მათში კარგად არ ჩანს გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და ასევე არ ჩანს თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; კარგად არ ჩანს საგნის სტანდარტიდან გამომდინარე შედეგებთან კავშირი. წარმოადგინეს ჰოლისტური შეფასების ნიმუში-სოლო-ტაქნონომიის სახით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს, თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შექმნიან უფრო დეტალურ, გრძლვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შფასების რუბრიკებს.

სახელმწიფო ენა: პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწყებითის კათედრის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების სისტემა, რომელშიც შედის ზეპირი განმავითარებელი შეფასებები, პრეზენტაციის რუბრიკები, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას თითოეული თემის ფარგლებში სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე არის გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. შესაბამისად სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა --სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია დაწყებით საფეხურზე მათემატიკაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მათემატიკის ოთხივე მიმართულების მიხედვით გადმოცემულია შეფასების კრიტერიუმები. სკოლის მიერ ასე წარმოდგენილია (დანართი N3) მოსწავლეთა სხვადახვა აქტივობებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემების შეფასების დროს. ასევე, წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N4 ინსტრუმენტი,

რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მე-5 და მე-6 კლასებში განმავითარებელი შეფასების გარდა მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი შეფასებითაც. სკოლას წარმოდგენილი აქვს მათემატიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რუბრიკებში გამოყენებულია შეფასების ინდიკატორები და განსაზღვრულ სავალდებულო თემაში დაჯგუფებულია სამიზნე ცნების მიხედვით. მაგალითად თემა მძლეოსნობაში გაწერილია თემის მიხედვით შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით და განსაზღვრავს თუ რა უნდა შეძლოს თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებიდან გამომდინარე მოსწავლემ. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები შეიქმნება თემიდან გამომდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე მტკიცებულებების სახით კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში წარმოდგენილია მეორე კლასისთვის შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც დეტალურადაა გაწერილი თუ რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს სამიზნე ცნებებთან/სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მკაფიოდაა წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და ამოცანები. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივობებთან მიმართებით. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები : მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია სასწავლო კურიკულუმების მონიტორინგი და გაუმჯობესება. ბუნებისმცოდნეობის პედაგოგები წინარე გამოცდილების (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

უცხოური ენები - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდ. გეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ სკოლაში ხდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობა, სკოლაში შეიმუშავეს მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, რაც გულისხმობს მასწავლებელთა მიერ თვითრეფლექსიების გაკეთების შესაძლებლობას და შესაბამისად რეფლექსიის გაკეთების გამოცდილებას. ამის მტკიცებულებაა წარმოდგენილ დოკუმენტებში. თუმცა მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს პროცესი სისტემატიურად მიმდინარეობს მათ სკოლაში. მასწავლებლის მიერ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების პრეზენტაცია თავისთავად გულისხმობს, მოსწავლეთა თვითრეფლექსიებს-წინარე გამოცდილების ანალიზს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ამის მიხედვით დაგეგმეს მომავალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ პერიოდულად მოახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ან გაწეული საქმიანობის ანალიზს, დაწერენ რეფლექსიებს და ამის მიხედვით დაგეგმავენ კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ ეს გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნის დაყრდნობით. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 1-4 კლასებში გათვალისწინებულია ერთი კოპლექსური დავალების განხორციელება, ხოლო მე-5-6 კლასებში ორი. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად ამ ეტაპზე არ აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. რადგან მოსწავლეებს ამ საკითხში არ ჰქონდათ წინარე გამოცდილება, ამიტომ პედაგოგებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა მცირე ასაკი და აირჩიეს კომპლექსური დავალებების მოცემული რაოდენობა. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით <u>**აკმაყოფილებს**</u> სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების შერჩევისას მასწავლებელთა მხრიდან გათვალისწინებული იქნა ის თემები, რომელშიც

მოსაწვლეთა დიდი ნაწილი აქტიურად იყო ჩართული. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ იმ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრის ოქმები, გაკვეთილის რეფლექსიები) ნათლად იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მიღებული შედეგები აისახება დაგეგმვის პროცესში. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმებში ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება- მასწავლებლებმა განხორციელებული კომპლექსური დავალებები შეიტანეს მომავალი წლის სასწავლო პროცესში და ინტერვიუზე იმსჯელეს მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ , რომ კათედრას საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *1-6 კლასების კურიკულუმები;*
2. *ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.*
3. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
4. *კათედრის ოქმები*
5. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
6. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
7. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*
8. *დანართი 13- კლუბი ესთეტიკური აღზრდა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები: სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტები და მოსწავლეთა ნამუშევრები.ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა არის მრავალრიცხოვანი და მოსწავლეთა ჩართულობა პროექტებში მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ აქტიურობას, იმისათვის რომ ჰქონდეთ თავისი შემოქმედებითობის და შესაძებლობების გამოვლენის და

გამოყენების საშუალება. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი პროექტების განხორციელებისას ისედაც იყენებს მოსწავლეთა ცოდნას კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

უცხოური ენები - კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორცილება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლებმა აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში ეწყობა თემატური გამოფენები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში

გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. ამ მხრივ აღსანიშნავია პროექტული სწავლების როლი. მასწავლებლები საუბრობენ მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე. მაგ. მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში შექმნეს ხელნაკეთი ნივთები.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია 1-4 კლასებში ერთი, ხოლო მე-5-6 კლასებში ორი კომპლექსური დავალების განხორციელება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადასხვა რესურსებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის და მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. მოსწავლისთვის შეთავაზებულია მამოტივირებელი სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები, კომპლექსური დავალებები, სპორტული რესურსი, საინტერესო ლინკები, სახელმძღვანელოები, რომლებიც მათ შესაძლებლობებზეა გათვლილი და მათ ინტერესებს ითვალისწინებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს განხორციელებულ სპორტულ ღონისძიებებში, მოძრავ თამაშებსა თუ ლაშქრობებში დაწყებითი საფეხურის არა მარტო მოსწავლეთა, არამედ მშობელთა მაღალ ჩართულობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას ასევე აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტები,რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშველობაც , და ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას

აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ განაგრძონ მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები ,პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება , თანამშრომლობის გაძლიერება ,სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირებულებების განვითარება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კომპლექსური დავალებების იდეა/პირობები, შინაარსები მოსწავლის წინარე ცოდნის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი, რასაც ადასტურებს მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთილი მიგნებები. ასევე მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მეორე კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია, სადაც მასწავლებელი ააქტიურებს მოსწავლეების წინარე ცოდნას სამიზნე ცნებებთან მიმართებით და შემდეგ ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წინარე ცოდნის განსაზღვრა და გააქტიურება განიხილება, როგორც მონიტორინგისა და მოსწავლის შეფასების ამოცანების საშუალებად. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნობრილი კურიკულუმით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმში აღწერილი კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს მისთვის ნაცნობი -კონტექსტ მაგალითებით მინიშნებული პრობლემების გადაჭრა და შედეგად საინტერესო პროდუქტის შექმნა. წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის

საშუალებით განახორციელებენ. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება . კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოუწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გმოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენა - კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენლი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელება, რითაც მოხდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურება და ესგ-ს შედეგების მიღწევა. სწორედ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დაიგეგმა კომპლექსური დავალება - მოთხრობის შექმნა ადამიანისა და ცხოველის მეგობრობაზე. მოსწავლეებმა თავად აირჩიეს, რა ფორმით წარადგენდნენ მოთხრობას, როგორ გააფორმებდნენ. ბევრმა მათგანმა ილუსტრაციებიც დაურთო. ამ დავალებაში საგანთაშორისი კავშირებიც გამოიკვეთა. ბავშვები ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდნენ ეტაპებს და მცირე ზომის ტექსტების შექმნის გამოცდილებამ მათ საკმაოდ საინტერესო ნამუშევრების შექნისაკენ უბიძგა.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მათემატიკის ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, რომელიც მოსწავლეს ეხმარება შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადება, რომლიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის მოძრავ თამაშებში გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -ბუნებისმეტყველების პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმოდგენილი მოსწავლის

თვითშეფასების რუბრიკები თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას დათვითრეგულირებულ სწავლას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და *მეტაკოგნიტური* უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების კონტაქტს მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ - სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანი სტრატეგიებს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ტექნოლოგიები - საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს იზრუნოს საკუთარი თავის განვითარებაზე, თავად მოიძიოს ინფორმაცია, თავად ეძიოს პრობლემის გადაჭრის გზები, შემოქმედებითად მიუდგეს დავალების შესრულებას და მინიმუმ პრეზენტაციისას თავადვე შეაფასოს შესრულებული დავალება, შექმნილი პროდუქტ, -ისწავლოს როგორ დაგეგმოს დავალების შესრულება, მოახდინოს მისი მონიტორინგი და საბოლოოდ შეაფასოს და მოიფიქროს გაუმჯობესების გზები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი.

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის

წახალისებას. ისინი ცდილობენ სისტემატურად იმუშაონ იმაზე, რომ მოსწავლემ იაზროვნოს კრიტიკულად შეძლოს უკუკავშირი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა დაეხმარა ნამუშევრის შექმნაში, რას შეცვლიდა ხელახლა რომ ასრულებდეს დავალებას და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები, ახდენს რეფლექსიას. ქართული ენის მასწავლებელი გვიყვება, როგორ გამოიყენა სქემები და მაორგანიზებლები ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნების დროს, რაც ბავშვებს დაეხმარა მასალის გააზრებაში, ხოლო შემდგომ, თვითდაკვირვებაზე დაყრდნობით, როგორი დასკვნები გააკეთეს მოსწავლეებმა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები ახორციელებლენ ეტაპობრივ მონიტორინგს, თუ როგორ მუშაობს მოსწავლე და მათივე თქმით აძლევენ მითითებებს, თუ როგორ დაისწავლოს ესა თუ ის საკითხი, რა მეთოდები გამოიყენონ დამოუკიდებელი მუშაობისას, რაც მათ საბოლოო ჯამში ეხმარება და სასურველ შედეგსაც აძლევს.

მათემატიკა - დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აქცენტი მოსწავლის სწავლაზე კეთდებოდეს. ამ მხრივ წარმოდგენილი კურიკულუმებით სთავაზობს მოსწავლეებს მათ ინტერესებზე გათვლილ სპორტულ ღონისძიებებს, სპორტულ რესურსს, კომპლექსურ დავალებებს, ინტერნეტ რესურსებსა თუ სახელმძღვანელოებს, რომლებიც არა მარტო მოსწავლის პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ცოდნასაც გულისხმობს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესში მოსწავლის სწავლის სწავლაზე კიდევ მეტად იქნება ორიენტირებული .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექუსირი ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა. ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება -პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, . შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტექნოლოგიები - კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული მსჯელობა ადასტურებს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ენა - კომპლექსური დავალებები, რომლებიც მუშავდება სკოლის დაწყებით საფეხურზე, პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

მათემატიკა - დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათემატიკის კურიკულუმები, სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მე-5 კლასის მათემატიკის ტესტის ნიმუში, სადაც მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლისგან სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს. თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები მოსწავლისგან წესების ცოდნას ითვალისწინებს, სასწავლო სიტუაციები, ტექნიკური ელემენტები, ვარჯიშები, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს და სხვადასხვა აქტივობებით მრავალჯერ ამეორებინებს პროცედურულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობა მოძრავ თამაშებში, ფესტივალებში პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწებს მათ გამოცდილებასა და არგუმენტებს. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ტექნოლოგიები - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში გასულ სასწავლო წელს მოსწავლეები ახორციელებდნენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე-პრობლემის გადაწყვეტაზე, გამოსავლის მოძებნაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელება თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებელმა თხოვნის შედეგად ნიმუშად წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც ადასტურებენ მასწავლებლის მიერ კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალებებში მოსწავლეთა ჩართულობას, შემოქმედებით მიდგომას და ცოდნათა ურთიერთკავშირს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები მასწავლებლების ფასილიტაციით სასწავლო საკითხის განხილვის წინ ააქტიურებენ საკუთარ წინარე ცოდნა-გამოცდილებას. ცნობისმოყვარეობის გაღვივების შემდეგ კი იწყება საკითხის სიღრმისეული შესწავლა, ცდილობენ ნაცნობი ინფორმაცია სხვადასხვა რაკუსით დაინახონ. მასწავლებლის დახმარებით ისინი ახდენენ ცოდნის ორგანიზებას და ერთმანეთს უკავშირებენ უკვე მიღებულ გამოცდილებას. ამაში მათ ეხმარება როგორც კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, ასევე არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში თუ სასკოლო პროექტებში ჩართულობა, რის დროსაც მოსწავლეები სკოლაში, საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნის ტრანსფერს ახდენენ.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/

კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სახელოვნობო კლუბის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ნათლად იკვეთება საგანთაშორისი კავშირები და ინტეგრაცია. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება ქვესაკითხთა დამუშავების ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, სადაც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. გაკვეთილებზე გამოყენებულ აქტივობებსა და კომპლექსურ დავალებებში მოცემული კითხვები მოსწავლეებს ეხმარებათ დაფიქრდნენ და გაანალიზონ ცოდნათა ურთიერთკავშირი. მაგალითად, განიხილონ საკითხი, თემა მახასიათებლები სხვადასხვა კონტექსტში.

მათემატიკა -- კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-3 კლასის ინტეგრირებული კომპლექსური დავალება მათემატიკასა და ქართულში (რწყილი და ჭიანჭველა), რომლის განხორციელების პროცესში მოსწავლეები მოახდენენ ამ ორ საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება სხვა კლასებშიც. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ სწავლა სწავლების დროს მნიშვნელოვანია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ფიზიკურ აღზრდასა და ბუნებისმეტყველებას შორის, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს ცოდნის მობილიზებაში. კურიკულუმში სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში განსახორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც პროექტის მომზადებას ითვალისწინებს ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების მიმართულებით ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე იქნება ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგნობრივი კურიკულუმები*
2. *სასკოლო პროექტები*
3. *კათედრების სხდომის ოქმი*
4. *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*

5. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია*
6. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
7. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
8. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. კურიკულუმთან მიბმული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ნათლად ჩანს რომელი სამიზნე ცნების რომელი მკვიდრი წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი კლასის კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. .შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნეცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით .

ტექნოლოგიები - მასწავლებლის მიერ წინასწარ წარმოდგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებს სიღრმისეულად გასააზრებლად შესთავაზოს ისეთი საგნობრივი საკითხები, რომლებიც მათ ნაცნობ პრობლემებზე მსჯელობის საშუალებას მისცემს, სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ დამუშავდება ორი ან მეტი სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები. სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კურიკულუმით დაგეგმილ თემას. თემაში გაწერილია სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები, საკვანძო შეკითხვები და შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტის იდეა. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ასრულებდნენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებშიც თავისთავად ხდებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება.

სახელმწიფო ენა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შესასწავლი საკითხების, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში. ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და მარავალფეროვანი სასწავლო რესურსებით.

მათემატიკა -- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო

შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. შერჩეული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით განსაზღვრულია შუალედური მიზნები რაც საფუძველს გვაძლევს, რომ სასწავლო პროცესში მოხდება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა , რომლებსაც მიმართავს სკოლა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინოსეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად. ამას გარდა , სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესები" პირველ კლასელთათვის, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში შემოსვლის დღიდან მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებას და როგორ ზრუნავენ, რომ შექმნან მათთვის შესაბამისი გარემო. ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს აქვთ საშუალება გაეცნონ სასკოლო სივრცეებს, წესებს, პედაგოგებს და სასკოლო კულტურას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზუსტად აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მასწავლებლებს აქვთ ძირითადი თემები განსაზღვრული. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების განხორციელების, დამუშავებისა და გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს და ინდიკატორს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და

მოსწავლემსწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და შეძლოს მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად მიმართავენ განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ადეკვატური თვითშეფასება და შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამ დროს შესაძლებელია ისეთი საკვანძო კითხვების დასმა, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს და კიდევ უფრო მეტად გააქტიურებს სწავლის პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლაში არსებული სახელოვნებო კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პიროვნული/ ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ტექნოლოგიები -. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში შერჩულია ისეთი საკითხები და თემები, რომელთა საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრები, რომელშიც ჩანს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტი: „კიბერდანაშაული-კიბერბულინგი“ ; სკოლაში ხორციელდება სოციალური პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ მოზარდმა შესძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრები, რომელშიც ჩანს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტი: „გონივრული არჩევანი“ პროექტის ძირითადი არსი, უშუალოდ უკავშირდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მე-18 მუხლის ვ პუნქტს, რომლის მიხედვითაც მოზარდმა უნდა შესძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

სახელმწიფო ენა - მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი კონტექსტები და წარმოდგენილი აუდიო-ვიდეო რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები.

გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. როგორც გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ არჩევითი დავლებები, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყველა იყოს ჩართული პროცესში თავისი შესაძლებლობებით. სასწავლო გარემო თავისუფალი და არადასჯადია. მასწავლებლები თვალს ადევნებენ და დაკვირვების დღიურებში ინიშნავენ, ვის რა გაუჭირდა, იყო თუ არა შერჩეული აქტივობები მათი შესაძლებლობების შესაბამისი.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი კომპლექსური დავალებები მოძრავი თამაშები, პროექტის მომზადება, ფესტივალი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას მოსწავლეები თამაშობენ გუნდურად, მართავენ ემოციებს, ახერხებენ კონფლიქტურ სიტუაციების, ემოციების მართვას, რაც მოსწავლის არა მარტო პიროვნულ, არამედ ფსიქო სოციალური უნარების განვითარებასაც განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი, ისე მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მიემართება კომპლექსურ დავალებებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. კათედრების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშნებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ სკოლა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების

სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კათედრის მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ამაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებებს, მოტივაციის ზრდისათვის. ყურადღება გამახვილებულია განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა, ხოლო ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენების მზაობა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ასევე, ინტერვიუს დროს, ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარებისყველა სფეროს მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. ასევე განსაზღვრავს თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ტექნოლოგიები - სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასში გაწერილია, რომ ფაქტობრივი ცოდნის შეფასების გარდა, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის აქტუალური ფაქტორებიც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას. ჰოლისტური შეფასების მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და განხორციელებული პროექტები. სკოლამ წარმოადგინა ჰოლისტური-სოლო ტაქსონომიით, შეფასების ნიმუში. დოკუმენტებში წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსია, შეფასება და მოსწავლეთა ნამუშევრები განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით, რომლიდანაც ჩანს, რომ სკოლაში იყენებენ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას-ჰოლისტური შეფასების მექანიზმს-სოლოტაქსონომიას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენა -სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში. აქედან გამომდენარე, მასწავლებლები კარგად იცნობენ და პრაქტიკაში ნერგავენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მასალებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები , ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მოსწაველთა საჭიროებებსა და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული მორგებული, განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებას.

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. მე-5 და მე-6 კლასებში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები ასევე მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხელს შეუწყობს მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში და შეუქმნის პოზიტიურ დამოკიდებულებას, დაეხმარება მოსწავლესა და მასწავლებელს ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვაში, პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი დაძლევის გზების ძიებაში. აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ წაარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება,რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს,მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას . საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს

იხელმძღვანელებს შედმეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვათა, რომ სკოლა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრინციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პორტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი დოკუმენეტაცია ცხადყოფს რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის განსაზღვრულ სამიზნე ცნებებისა და შედეგების გათვალისწინებით. მომდევნო სასწავლო წელს სკოლას არჩეული აქვს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემა. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. სასკოლო სსწავლო გეგმის პროექტის დეტალურადაა წარმოდგენილ შეფასების ამოცანები და მიზნები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.

ტექნოლოგიები - სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც იკითხება განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების შექმნის მექანიზმები. თავიდან სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სამიზნე ცნების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს, თხოვნის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა ეს დოკუმენტები. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. სკოლა მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობს შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. მოსწავლემ ზუსტად იცის, რა კრიტერიუმები უნდა

დააკმაყოფილოს. მოცემულ რუბრიკებზე დაყრდნობით მოსწავლეებს შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სწავლის შედეგი და მიმართება სასწავლო მიზანთან.

სახელმწიფო ენა - როგორც დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა მასწავლებლები შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით ირჩევენ შფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მაგ: მოსწავლეთა პრეზენტაციებს, ნამუშევრების გამოფენას, დამოუკიდებელ თუ ჯგუფურ სამუშაოს და სხვა. რა თქმა უნდა ეს განპირობებულია იმით, თუ რა უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული მასწავლებელი, რა კონკრეტული სასწავლო მიზნებია დასახული მოცემულ მომენტში. ასევე მოსწავლეებთან ერთად ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობასა და სანდოობას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რუბრიკების დახმარებით თავად დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროგრესს და მათზე დაყრდნობით განახორციელონ თვითშეფასება.

მათემატიკა -- სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - სკოლა ერთწლიანი სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. კათედრის მიერ მოწოდებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ცოდნის დონის დადგენაზე. კათედრას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობითაა შემუშავებული იქნება ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. შეფასების სისტემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმების ინსტრუქციების დამტკიცების ბრძანება. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტით დგინდება თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შემუშავებულია განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების შესაბამისი რუბრიკები, რომელიც ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე არის მორგებული. შეფასების გამჭირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა სასკოლო საზოგადოებისთვის მისი გაცნობის შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. სკოლაში კათედრების მიერ ხორცილედება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, სადიაგნოსტიკო წერები. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება შერჩევითი მეთოდით, სკოლის ადმინისტრაციის

მიერ. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. ეს განაპირობებს იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს. სკოლა წერს შესაბამის დასკვნას და დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. პირველად ავტორიზაციაზე ეს მექანიზმი ვერ შეფასდება, თუმცა სკოლა ითვალისწინებს სამინისტროს მიერ მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებებს. სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა აქამდე უზრუნველყოფდა არსებული მატერიალური საკლასო ჟურნალების შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით, მაგრამ ამჟამად ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ადმინისტრირების კუთხით დოკუმენტაციის ნაწილი დაცულია და ინახება ელექტრონულ პორტალზე E-flow-ს სისტემაში. დირექტორის სამართლებრივ-ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სათანადო წესით შევსებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები ინახება საგნობრივ კათედრებზე. მოსწავლის პირადი საქმეები კლასების მიხედვით საქაღალდეებშია ჩალაგებული და ინახება სკოლის კანცელარიაში. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად გააუმჯობესოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვის რეგულაციები. სკოლა ფიქრობს, რომ განახორციელოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო
აღრიცხვა და შენახვის რეგულაციების რევიზია. სკოლის მიერ რევიზირებულ შეფასების სისტემაში განისაზღვროს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;

1. *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი*
2. *სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.*
3. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;*
4. *თემატური მატრიცები*
5. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები*

6. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
7. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ*
8. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
9. *დისკუსიის შეფასება*
10. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
11. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. დაწყებითის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რაც ეხმარება კოლეგებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში. მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მათი ნამუშევრები ხშირად გამოიფინება კორიდორებში. ესენია დიორამები, მაკეტები, ნახატები, რაც მოსწავლის აღიარებას და წახალისებას ემსახურება. ყველა მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა და არ ეშინია ბულინგის. სკოლაში სხვადასხვა კლასის და საფეხურის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. ამაზე მოწმობს სკოლის შიდა სასკოლო აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები. მასწავლებელი მოსწავლეთა აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი და სწავლის პროცესში ფასილიტატორი. სკოლაში აქვთ იდეათეკის კაბინეტი, სადაც მოსწავლეების იდეებს ფრთები ესხმევა პროექტების სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. მრავალფეროვანი აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესთა და შესაძლებლობების სფეროს. მოსწავლეზე ორიენტირებულია მრავალი სასწავლო, ინტეგრირებული პროექტი და კონკურსი სადაც

მოსწავლეები საკუთარი სურვილთ ერთვებიან. სკოლის სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, საგნობრივი კურუკულუმიდან ჩანს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ემსახურება მოსწავლის ავტონომიურობას, მის წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას, ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების, შემოქმედებითობის გამოვლენას. მტკიცებულებად შეგვიძლია განვიხილოთ წარმოდგენილი სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები-განხორციელებული პროექტები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ისინი ემსახურებიან იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებების მიღწევა. სასკოლო პროექტებზე, კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია.
სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილები, კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, დაწყებითი კლასების პედაგოგები შეთანმხდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მატრიცების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნა. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ კოლეგის პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწვლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე.ასევე ჩანს ლიდერ მასწავლებელთა მუშაობა კოლეგებთან. სკოლა იყენებს მშობლებთნ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექცია, პედაგოგები, თანამშრომლები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. სასკოლო საზოგადოება იზიარებს ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. სასკოლო საზოგადოებაში სკოლა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლიერებაზე, აკადემიური და პიროვნული ზრდის ხელშეწყობაზე. ამის დასტურია, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. ასევე მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში, მშობლების მიერ მშობელთა კრებებზე მოწოდებული იდეები, რომლებიც გათვალისწინებული არის სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელების დროს. სკოლის კიბის უჯრედსა და ფოიეში გაკეთებულია საგამოფენო სივრცე,

სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს კალათბურთის წრე, სხვადასხვა კლუბები, რომლებიც სკოლაში ქმნიან პოზიტიურ კლიმატს. იგეგმება ცეკვის წრის გახსნა. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წერია, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებას, ურთიერთნდობასა და ღირებულებებზე. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კლუბების წესდებები და დებულებები.*
2. *სასკოლო სივრცეები*
3. *მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი მასალები*
4. *კლუბური მუშაობის აქტივობები და მიღწევები*
5. *მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.*
6. *კურიკულუმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყოფილია მონიტორინგის ჯგუფი ლიდერი მასწავლებლებიდან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კურიკულუმის ხარისხიანად განხორციელების მონიტორინგზე. სკოლამ წამოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმა, ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მექანიზმი, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტშიც განსაზღვრულია კურიკულუმის აგების პრინციპები, მიზნები და ამოცანები.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ახორციელებდნენ საგნობრივი თემატური გეგმების მონიტორინგს და შეფასებას. ეს არის მხარდაჭერის მექანიზმი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო-გეგმა, რის საფუძველზეც სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება პროცესების მონიტორინგი, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპი, მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ პროცესშიც და მას შემდეგაც, რაც დასრულდება კომპლექსური დავალებაზე მუშაობა. აღნიშნული მასწავლებელს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ ან არ იყვნენ მოსწავლეები ჩართულნი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა. ამ ყველაფრის გათვალისწინება კი მასწავლებელს საშუალებას მისცემს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი. სამომავლოდ სკოლაში გეგმავენ, რომ მოხდება კათედრებზე და კათედრებს შორის ამ კუთხით გამოცდილების გაზიარება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი. განხორციელების პროცესში კათედრის წევრები აკვირდებიან, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დაძლევა, რა პრობლემები გამოიკვეთება. ანალიზისა და შეფასების შედეგად და მოხდება კურუკულუმების განახლება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა აქტიურად იყენებს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. მონიტორინგის პროცესში ანალიზის საფუძველზე ხდება დიაგნოსტირება თუ რამდენად ადეკვატურად წარიმართა პროცესები. პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.. სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადიაგნოსტიკო შეფასების, SWOT ანალიზის, თვითშეფასების სისტემა. სკოლაში არსებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი ახრციელებს მონიტორინგს, შეფასებას. ამ პროცესს იყენებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად და დასახმარებლად. დაწყებითი საფეხურის კათედრა სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებს სასწავლო პროცესის გამოწვევებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის

ხარისხი. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლამ ასევე წარმოადგინა მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლაში სისტემატურად ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება, მათ შორის გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრებების შემდეგ მასწავლებელთა მიერ რეფლექსიების წარდგენა, შემდეგ კი უკუკავშირების გათვალისწინება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისათვის.მათ აღნიშნეს, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აძლევს უკუკავშირს. სწორად გაცემული რეკომენდაციები და უკუკავშირი, ასევე მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითარების კარგი საშუალებაა. ძლიერი სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას , მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და მხარდაჭერის და პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის მიზნით გეგმავს თემატური ერთეულების გავლის შემდეგ სადიაგნოსტიკო ინსტუმენტების საშუალებით შეაფასოს მოსწავლის სწავლის პროცესი დაწყებით საფეხურზეც, დაადგინოს საჭიროება სად სჭირდება მოსწავლეს დახმარება. აღნიშნული დიაგნოსტირება მასწავლებელსაც დაეხმარება შეაფასოს საკუთარი მუშაობის პროცესი და იფიქროს, რა ფორმით უპასუხოს გამოწვევებს. სკოლა შეიმუშავებს ფორმას, სადაც გაწერილი იქნება მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SWOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მეთოდოლოგიაში საუბარია, ასევე, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე, თანამშრომლობის გაძლიერებაზე. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს წარმოადგინეს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს , რომ მონიტორინგი და შეფასება მიმართული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტურებულია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების/აქტივობების განხორციელების მონიტორინგის და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე მიმდინარე წლის გეგმებთან დაკავშირებით ხდებოდა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ძლიერი და სუსტი მხარეების გარჩევა, თუმცა აღნიშნული შემოიფარგლებოდა სიტყვიერი შეფასებებით. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, გამოყოფს სამუშაო ჯგუფს, რომელიც ცხრილის სახით გაწერს კურიკულუმზე მუშაობის კითხვარს, სადაც სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა, რასაც ასახავს ცვლილებების სახით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.*
2. *წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმები, რესურსი 12)*
3. *კათედრის მუშაობის SWOT ანალიზი,*
4. *პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ოქმები*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის*
7. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სასწავლო პროცესის შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. რომელიც სამიზნე ცნებებისკენ მიემართება და იძლევა საშუალებას დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს: დამრიგებლის დაკვირვების შედეგებს, არასაგაკვეთილო აქტივობების შეფასებას, პროექტებში აქტივობის, მოსწავლის ქცევის, მოსწავლეზე დაკვირვების ფურცლის, პროექტის ან კვლევის სვოტ ანალიზის შედეგებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ეფექტურად მუშაობისთვის და სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევაში მთავარი როლი ეკისრება ჰოლისტურ შეაფასებას, სადაც ჩანს მოსწავლის ემოციური-სოციალური-კოგნიტური განვითარების პროცესი. სკოლა იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას და სოლო ტაქსონომიას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაიაზროს საკუთარი მიღწევები, ხოლო მასწავლებელი ფოკუსირდეს მოსწავლის შესაძლებლობებზე და იფიქროს მის პიროვნულ განვითარებაზე. მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის

შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ დაწყებითი საფეხურზე გეგმავენ, რომ განმავითარებელი შეფასება დააფუძნონ მრავალფეროვანი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. ერთი და იგივე მოსწავლე შეიძლება შეფასდეს ჯგუფური მუშაობის, ინდივიდუალური მუშაობის , სკოლის გარეშე სამუშაოების,პროექტებზე მუშაობისას. პედაგოგებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას.ყოველწლიურად II-VI კლასებში ტარდება დიაგნოსტიკური შეფასება ქართულ ენასა და მათემატიკაში,რომლთა შედეგებიც განიხილება კათედრებზე დეტალურად, ხდება შედეგების გაანალიზება , ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენა და მუშაობა მიზნის მიღწევაზე. სკოლა ასევე შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებელებისგან. ამ მიზნით კათედრაზე იგეგმება გააგრძელოს სადაიგნოსტიკო შეფასებების ჩატარება, უფრო ფართოდ მოხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემთა მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, დაკვირვების ფურცელი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფზე დაკვირვება, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია SWOT ანალიზი და სხვა. ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდების დანერგვას - ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება, ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლამ უზრუნველვყოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა.

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვე/დამუშავების მექანიზმს. აქვს წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი , მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმები. ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა მეთოდით, მაგ. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დისკუსია, ფოკუსჯგუფებზე დაკვირვება და ა. შ სკოლის საუკეთესო პრაქტიკაა. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე სსსმ და შშმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სამომავლო ხედვა, მოვლენა, სიტუაცია, მოსწავლის მზაობა, მისი ხასიათი, ნებელობა და ა. შ.. გასათვალისწინებელია მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, რომელიც წარმოაჩენს მოსწავლის უნარების დიაგნოსტირებას, ასევე გამოავლენს რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოსაჩენად. აღნიშნულმა შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი ისე უარყოფითი გავლენა შედეგზე. სკოლა გამოთქვამს მზაობას 2023-2024 სასწავლო წლიდან სამუშაო ჯგუფების ჩართულობით აწარმოოს დაკვირვება და შეისწავლოს რა გავლენას ახდენს მოსწავლეზე არა მარტო სკოლა, არამედ გარედან მიღებული სხვადასხვა ფაქტორი. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შეფასება მოხდება ყველა იმ ფაქტორის (დროის ფაქტორი, სოციალური ფაქტორი და სხვა) გათვალისწინებით , რაც გავლენას ახდენს შედეგებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.*
2. *კათედრის ოქმით დამტკიცებული ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12*
3. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
4. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები.*
5. *დიფერენცირებული დავალებები.*
6. *შეფასების ფურცლები*
7. *ანკეტები*
8. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შედგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და წლის ბოლოს მისი რეფლექსია, ასევე გამოყოფილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კურიკულუმის განხორციელებას სხვადასხვა საგნებში, კათედრებზე განიხილავენ წინა სასწავლო კურიკულუმს, კომპლექსურ დავალებებს და მომავალი სასწავლო წლისთვის განვითარებულ, მოდიფიცირებულ ვარიანტს ადგენენ. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც გაზიარდება მასწავლებლებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა,

რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის შედეგებს პერიოდულად გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას სწავლა-სწავლებაში მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი*
2. *2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი*
3. *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი*
4. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლის კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით, განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემო შექმნა). კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრის წევრთა ერთსულოვნება, მასწავლებლების თანამშრომლობა, სასწავლო პროცესის გაუჯობესებაზე ზრუნვა, სიახლეებზე ორიენტირი და ნათლად გამოიკვეთა, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.
აქედან გამომდინარე, შეგვიძლა დავასკვნათ, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალების

განხორციელება საგნებში, რისთვისაც პედაგოგებმა მოიძიეს და მოამზადეს მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითები. შექმნილია კომპლექსურების შესაბამის განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკები . კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა აღებულია ცხოვრებისეული კონტექსტიდან, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, განმავითარებელი უკუკავშირი და ამით მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წინაპირობაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს სასკოლო საზოგადოება, კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით ხორციელდება, რაც კათედრის შეხვედრების სამუშაო გეგმაშიც ჩანს. კურიკულუმებში გათავლისწინებულია მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის, მშობლების საჭირო პრობლემები. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის ეტაპზე საშუალო საფეხურის კლასების მასწავლებლებმა აქტიურად ითანამშრომლეს მშობლებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის თანამშრომელთა უმრავლესობა ამავდროულად წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მეორე მხარეს, მშობლებს. შესაბამისად, გამარტივდა წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენის პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევა და გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს წარმოდგენილი მეთოდოლოგიის განხორციელების მზაობა. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში ისინი სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის განუყოფელი ნაწილია სასკოლო კურიკულუმი, უზიარებენ მშობლებს, აღნიშნულის დასადასტურებლად დგება მშობელთა კრების ოქმი. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმებიც გაზიარდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
2. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
3. *კურიკულუმის შემუშავების ამსახველი ფოტო მასალა, კათედრების მიხედვით;*
4. *კათედრის შეხვედრების ოქმები;*
5. *სკოლის ვებ გვერდი,*
6. *სკოლის სოციალური გვერდი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემუშავებული კურიკულუმიები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ ბუნებისმეტყველების კათედრზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, თანაშეფასების , გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. ბუნებისმეტყველების კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმები (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა), რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს

მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები, რასაც ასაბუთებენ წინა წლის თემატური მატრიცებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით.

მათემატიკა - სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც მათემატიკის კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხვნებიდან. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომლის ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება და მოსწავლის ცოდნას ადასტურებს საკითხთან მიმართებით. შერჩეული თემები სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები ისეა შერჩეული, რომ

მოსწავლის შინაგან მოტივაციას ამაღლებს და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები, დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლების მიერ შექმნილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასკოლო კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებების იდეაში და შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ სწავლის პროცესში მოსწვალე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. კათედრის წევრები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კომპლექსური დავალებებისთვის მოსამზადებელ ეტაპეპზე აქტივობებს აღნიშნული პრინციპით შეარჩევენ. განხილვის საგანი გახდება კონკრეტული აქტივობა რომელი ფუნქციური უნარის განვითარებას ისახავს მიზნად და რამდენად მოხერხდა მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში, დანერგილ თემატურ მატრიცასა და კომპლექსური დავალების დანერგვის რეფლექსიაში წარმოადგინეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, აღინიშნა რომ იმავე აქტივობებს განახორციელებენ მომდევნო სასწავლო წელს და გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დამადასტურებელ დოკუმენტაციად წარმოადგინეს უკვე განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები, რომლებიც არაფორმალური განათლებისა და გლობალური უნარების განვითარებაზე მეტყველებს.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. ასევეა გაწერილი ის თემები, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით. ყოველ თემაში განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავდ

მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ყოველი თემის სწავლებისას მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები და საფეხურის შესაბამისი შედეგები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ორიენტირება ხდება საფეხური ბოლოს მისაღწევი შედეგებით. მასწავლებლების მიერ თემების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესი და საჭიროება. თითოეული თემის შესაბამისად გაიწერა კომპლექსური დავალებები, რომლებიც კურიკულუმებში ამ ეტაპზე პირობის სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დღემდე განხორციელებულ ფესტივალებსა თუ მოძრავ თამაშებზე და იმ ეტაპებზე, რომელსაც გაივლიან ახალი კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა და მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არჩევანს. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. იძლევა პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. საბაზო საფეხურზე სკოლას ყავს რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომლის სწავლების პროცესიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მომდევნო სასწავლო წლის გეგმის საგნობრივ კურიკულუმშიც გათვალისწინებულია მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოდიფიცირებული დავალებები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ვინაიდან სკოლა არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, კურიკულუმი წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას,

შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. საერთო შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინკლუზიურის შიდა მონიტორინგის ბრძანება , სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების არწერა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ გათვალისწინებეულია მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი. მიმდინარეს შეფასებისთვის მასწავლებელთა მხრიდან დასახელებული ინსტრუმენტები, რუბრიკები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელები აღნიშნავენ , რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა, დაგეგმეს აქტივობები მათი ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით, შესთავაზეს მიზანმიმართული კონტექსტმაგალითები. კათედრა გეგმავს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებასა და ანალიზსს, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას. ამ ეტაპზე კათედრის დონეზე პროცესის შესასწავლად/ შესაფასებლად იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ იდივიდუალური გეგმის საშუალებით, ადაპტირებული დავალებებითა და აქტივობებით.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია მათემატიკაში რამდენიმე მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. კომლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი ასეთი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას თემები, ქვეცნებები, საკითხები შერჩეული იქნა საფეხურის შესაბამისად და გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ინდივიდუალურ მიდგომებზე, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარეობდა. ასევე აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ საგნობრივ

კურიკულუმებში გაწერილი თემების, საკითხების თუ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოხდება დიფერენცირებული მიდგომა და მოსწავლეთათვის მათზე მორგებული და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობების შეთავაზება, როგორიცაა ფესტივალის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება, გაფორმება, პრეზენტაციის შექმნა, სპორტული დარბაზის გაფორმება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის პედაგოგებს ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში და კლასებში წარმოდგენილი კომპლექსურების შესაბამისად, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ეყრდნობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისა და მეთოდიკურ ორიენტირების გააქტიურებას. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე არის გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნის. თუმცა სამიზნე ცნებებთან მიმართებით თითოეული თემის ფარგლებში მოდევნო სასწავლო წლისათვის შექმნიან ყველა შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. შესაბამისად სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოკვეთეს შეფასების ძირითადი ამოცანები და ისაუბრეს ასევე განმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა მისიეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, მათ შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმას, რომ საბაზო საფეხურზე კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი

პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურზე მტკიცებულებების სახით კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები**,** რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, მკაფიოდაა წარმოდგენლი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინტრუმენტები და ამოცანები. ინტრვიუს დროს, მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. მასწავლებელთა მსჯელობას ამყარებს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტი - მუსიკა გეგმა შეფასება მონიტორინგი (VII კლასი), სადაც მასწავლებელს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან და საგაკვეთიკო მიზნებთან მიმართებით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების კონკრეტული რუბრიკები. აღნიშნულიდან გამომდინარე , შეისაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ მომავალი სასწავლო წლისთვის შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიგვანიშნებს, რომ დააკვირდებიან როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენები შესასწავლ საკითხთან, თემასთან დაკავშირებით, გამოავლენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შესძლებლობას მისცემს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების გამოკვეთისა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მასწავლებელთა მხრიდან ხაზგასმულია კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი, დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობა. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკები გახდება მეთოდოლოგიური დანართის ნაწილი, დაკონკრეტდება კონკრეტული რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა, კონკრეტული პროცესის შესაფასებლად.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია საბაზო საფეხურზე მათემატიკაში როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. წარმოდგენილია საკლასო სამუშაოს, საშინაო დავალების და შემაჯამებელი წერის შეფასების რუბრიკები, მოცემულია ერთი კონკრეტული შემაჯამებელი დავალების ანალიზი. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემების შეფასების დროს. სკოლას გააჩნია დიაგნოსტიკური წერების ჩატარების გამოცდილება, მოცემულია მე-9 კლასის დიაგნოსტიკური წერის ნიმუში, წერების შეფასების ზოგადი რუბრიკა და დიაგნოსტიკური წერის ანალიზი. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N2 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რუბრიკებში გამოყენებულია შეფასების ინდიკატორები და განსაზღვრულ სავალდებულო თემაში დაჯგუფებულია სამიზნე ცნების მიხედვით. მაგალითად თემა მძლეოსნობაში გაწერილია თემის მიხედვით შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით და განსაზღვრავს თუ რა უნდა შეძლოს თითოეული სამიზნე ცნების

ფარგლებიდან გამომდინარე მოსწავლემ. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები შეიქმნება თემიდან გამომდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია სასწავლო კურიკულუმების მონიტორინგი და გაუმჯობესება. პედაგოგები წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დოკუმენტების შესწავლისას და დამატებით ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნის დაყრდნობით. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდ. გეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმეტაციაში (სასკოლო კრურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, კატედრის ოქმები, გაკვეთილის რეფლექსიები) ნათლად იკვეთება, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მიღებული შედეგები აისახება დაგეგმვის პროცესში. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში, ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება- მასწავლებლებმა განხორციელებული კომპლექსური დავალებები შეიტანეს მომავალი წლის სასწავლო პროცესში და ინტერვიუს დროს იმსჯელეს მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - სკოლა აღნიშნავს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში,

მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

მათემატიკა - სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 7-9 კლასებში გათვალისწინებულია ორი კოპლექსური დავალების განხორციელება. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად ამ ეტაპზე არ აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. რადგან მოსწავლეებს ამ საკითხში არ ჰქონდათ წინარე გამოცდილება, ამიტომ აირჩიეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებების მოცემული რაოდენობა. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების შერჩევისას მასწავლებელთა მხრიდან გათვალისწინებული იქნა ის თემები, რომელშიც მოსაწვლეთა დიდი ნაწილი აქტიურად იყო ჩართული. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ იმ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.*
3. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
4. *კათედრის ოქმები*
5. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
6. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
7. *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი (მათემატიკა).*
8. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*
9. *მუსიკა გეგმა შეფასება* მონიტორინგი (დამატებითი დიკუმეტაციიდან ესტეტიკური აღზრდა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - . საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლებმა აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება.

კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება - მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საბაზო და საშუალო საფეხურის ბაზაზე სკოლაში ფუნქციონირებს სახელოვნებო კლუბი, რომელიც მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების და შემოქმედებითი პროცესის ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში ეწყობა თემატური გამოფენები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ენა - კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (სამივე საფეხურის ყველა კლასის) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის,

მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გარდა ამისა, აღწერილი პროცესი აისახა ერთ-ერთი კლასის თემატურ მატრიცაში, რომელიც წინა წელს დანერგვისა , განხილვისა და რეფლექსიის საგანი გახდა კათედრის წევრებისთვის. ეს მატრიცა წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულების სახით.

მათემატიკა -- მათემატიკის კათედრა საბაზო საფეხურზე ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორი კომპლექსური დავალების განხორციელება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის და მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. მოსწავლისთვის შეთვაზებულია მამოტივირებელი სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები, კომპლექსური დავალებები, სპორტული რესურსი, საინტერესო ლინკები, სახელმძღვანელოები, რომლებიც მათ შესაძლებლობებზეა გათვლილი და მათ ინტერესებს ითვალისწინებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს განხორციელებულ სპორტულ ღონისძიებებში, მოძრავ თამაშებსა თუ ლაშქრობებში დაწყებითი საფეხურის არა მარტო მოსწავლეთა, არამედ მშობელთა მაღალ ჩართულობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოს დოკუმენტების შესწავლიდან, ასევე გასაუბრებების დროს გამოიკვათა რომ კათედრას გააზრებული აქვთ თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრებს ასევე აქვთ განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშვნელობაც. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ განაგრძონ მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები ,პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის

კონსტრუირება , თანამშრომლობის გაძლიერება ,სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირებულებების განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ, მასწავლებლები ახალი ცოდნის კონსტრუირებას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამას ადასტურებს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მეშვიდე კლასში მუსიკაში ჩატარებული გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია და მონიტორინიგის დოკუმენტი. ამასთან, მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წინარე ცოდნის განსაზღვრა და გააქტიურება განიხილება, როგორც მონიტორინგისა და მოსწავლის შეფასების ამოცანების საშუალებად. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო მუსიკასა და სხავით და გამოყენებით ხელოვნებაში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემატური ბლოკების , დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს

მომავალში. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი პროცესი მკაფიოდ ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და რეფლექსიაში.

მათემატიკა -- მათემატიკის კათედრამ საბაზო საფეხურზე გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, რომელიც მოსწავლეს ეხმარება შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადება, რომლიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის მოძრავ თამაშებში გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე

მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლისინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანი სტრატეგიებს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცხადია კათედრის წევრება ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მეთოდოლოგიური დანართის სრულყოფისას.

მათემატიკა -- საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აქცენტი მოსწავლის სწავლაზე კეთდებოდეს. ამ მხრივ წარმოდგენილი კურიკულუმებით სთავაზობს მოსწავლეებს მათ ინტერესებზე გათვლილ სპორტულ ღონისძიებებს, სპორტულ რესურსს, კომპლექსურ

დავალებებს, ინტერნეტ რესურსებსა თუ სახელმძღვანელოებს, რომლებიც არა მარტო მოსწავლის პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ცოდნასაც გულისხმობს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესში მოსწავლის სწავლის სწავლაზე კიდევ მეტად იქნება ორიენტირებული .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - პედაგოგების მიერ წარდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას აქვს სწავლა-სწავლების პროცესში კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების გამოცდილება. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა . ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება -პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, . შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის

(დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მტკიცებულებებისა და მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას , სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

მათემატიკა -- საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მათემატიკის კურიკულუმები და მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლისგან სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს. თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები მოსწავლისგან წესების ცოდნას ითვალისწინებს, სასწავლო სიტუაციები, ტექნიკური ელემენტები, ვარჯიშები, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს და სხვადასხვა აქტივობებით მრავალჯერ ამეორებინებს პროცედურულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობა მოძრავ თამაშებში, ფესტივალებში პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებასა და არგუმენტებს. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება

დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში, განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სახელოვნებო კლუბის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ნათლად იკვეთება საგანთაშორისი კავშირები და ინტეგრაცია. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები, წინა წელს დანერგილი კომპლექსურები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე, აღნიშნული პროცესი ნათლად ჩანს წინა წელს დანერგილი კომპლექსური დავალების თემატურ მატრიცაში.

მათემატიკა -- კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შინაარსის მქონე კომპლექსური დავალებები, კერძოდ, ერთერთ დავალებაში მოსწავლეს მოეთხოვება მიწისძვრების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი ანალიზი, ანუ მათემატიკისა და გეოგრაფიის ცოდნის დაკავშირება. მეორე დავალებაში ცნობილი სპორტსმენების შესახებ მონაცემების მოპოვება და დამუშავება, ე.ი. მათემატიკასა და სპორტში ცოდნის დაკავშირება. ანალოგიურია სხვა კომპლექსური დავალებებიც. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადაგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება ყველა კლასში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ სწავლა სწავლების დროს მნიშვნელოვანია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ფიზიკურ აღზრდასა და ბუნებისმეტყველებას შორის, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს ცოდნის მობილიზებაში. კურიკულუმში სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში განსახორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც პროექტის მომზადებას ითვალისწინებს ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების მიმართულებით ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე იქნება ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. *დასტურდება (მტკიცებულებები):*
2. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
3. *საგნობრივი კურიკულუმები*
4. *სასკოლო პროექტები*
5. *კათედრების სხდომის ოქმი*
6. *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
7. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია*
8. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
9. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
10. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*
11. *დანართი 13- კლუბი ესთეტიკური აღზრდა*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოები არ იძლევა მკვიდრი წარმოდგენების მითითების საშუალებას, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. კურიკულუმთან მიბმული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ნათლად ჩანს რომელი სამიზნე ცნების რომელი მკვიდრი წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი კლასის კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები

(კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. იგივე პრინციპი დაცულია კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, შესაბამისად კათედრა მზადაა გაითვალისწინოს აღნიშნული პრინციპები და მიმართებები სწავლა-სწავლების პროცესში.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. შერჩეული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით განსაზღვრულია შუალედური მიზნები რაც საფუძველს გვაძლევს, რომ სასწავლო პროცესში მოხდება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა , რომლებსაც მიმართავს სკოლა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინო სეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად. ამას გარდა , სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესები" პირველ კლასელთათვის, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში შემოსვლის დღიდან მოსწავლეთა ფსიქო- ემოციურ განვითარებას და როგორ ზრუნავენ, რომ შექმნან მათთვის შესაბამისი გარემო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზუსტად აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს მოსწავლის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მასწავლებლებს აქვთ ძირითადი თემები განსაზღვრული. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების განხორციელების, დამუშავებისა და გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა - მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და შეძლოს მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ხშირად მიმართავენ განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ადეკვატური თვითშეფასება და შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამ დროს შესაძლებელია ისეთი საკვანძო კითხვების დასმა, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს და კიდევ უფრო მეტად გააქტიურებს სწავლის პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექსური დავალებები, ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლაში არსებული სახელოვნებო კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პიროვნული ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი

ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლის ამგვარი კუთხით განვითარებას უწყობს ხელს, რაც გააზრებული პროცესია მასწავლებელთა მხრიდან.

მათემატიკა -- მათემატიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი კომპლექსური დავალებები მოძრავი თამაშები, პროექტის მომზადება, ფესტივალი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას მოსწავლეები თამაშობენ გუნდურად, მართავენ ემოციებს, ახერხებენ კონფლიქტურ სიტუაციების, ემოციების მართვას, რაც მოსწავლის არა მარტო პიროვნულ, არამედ ფსიქო სოციალური უნარების განვითარებასაც განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მიემართება კომპლექსურ დავალებებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები. თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება და ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, შიძელბა ითქვას, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები - დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების

სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კათედრის მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ამაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებებს, მოტივაციის ზრდისათვის. ყურადღება გამახვილებულია განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. ხოლო ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენების მზაობა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ასევე, ინტერვიუს დროს, ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ - შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. ასევე განსაზღვრავს თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ შერჩეული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: კომპლექსური დავალების შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, შეფასების რუბრიკა მიმდინარე მიღწევებისთვის, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოებას, ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში,დეტალურად აღიწერება რამდენად და როგორ უწყობს ხელს ისინი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

მათემატიკა -- საბაზო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის

შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები ასევე მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხელს შეუწყობს მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში და შეუქმნის პოზიტიურ დამოკიდებულებას, დაეხმარება მოსწავლესა და მასწავლებელს ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვაში, პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი დაძლევის გზების ძიებაში. აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ წაარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება,რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს,მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას - საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, კათედრებზე ხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღვანელებს შედმეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვათა, რომ სკოლა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრონციბებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათდრის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მომდევნო სასწავლო წელს სკოლას არჩეული აქვს შეფასების სამ კომპონენტიანი სისტემა. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. სასკოლო სსწავლო გეგმის პროექტში დეტალურადაა წარმოდგენილ შეფასების ამოცანები და მიზნები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.

სახელმწიფო ენა - კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხრივ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწვალეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღნიშნავენ, რომ მათმა მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. ყველაზე მთავარი მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი.

მათემატიკა -- სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს

დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - სკოლა ერთწლიანი სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. კათედრის მიერ მოწოდებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ცოდნის დონის დადგენაზე. კათედრას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობითაა შემუშავებული იქნება ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შექმნილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნების შესაბამისობას ადგენენ შეფასების მექანიზმთან. სოკლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, დირექციის წარმომადგენლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პედაგოგიური კოლექტივიდან უნდა შეირჩეს 2 წევრი, რომლებიც ყოველწლიურად შეიცვლებიან. მათ დაევალოთ კონტროლი გაუწიონ მოსწავლეთა განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასება. ჯგუფი ვალდებულია სემესტრში ერთხელ წარმოადგინოს დასკვნა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები. სკოლა წერს შესაბამის დასკვნას და დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. პირველად ავტორიზაციაზე ეს მექანიზმი ვერ შეფასდება, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება, რომ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვა, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეები, ელექტრონული და მატერიალური ჟურნალები, სადაც არის ასახული მოსწავლის მიღწევები და შედეგები. ეს ყველაფერი შენახულია კლასების მიხედვით საქმის მწარმოებელთან. სკოლის საქმის წარმოების წესის თანახმად მოსწავლის პირადი საქმეები ინახება სკოლის არქივში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;*

2. *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.*
3. *სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.*
4. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;*
5. *თემატური მატრიცები*
6. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები*
7. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის პროექტი 2023-24წ*
8. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ*
9. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
10. *დისკუსიის შეფასება*
11. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
12. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების ფორმაში, დანართის სახით მოცემულ სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის მისიაში იკვეთება, რომ სკოლა იღებს პასუხისმგებლობას იზრუნოს მიმღებლობით გარემოს შექმნაზე, მისიის შესრულების ვალდებულება გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებისთვის განსაზღვრულია სამივე საფეხურის ძირითადი ამოცანები. ამას ცხადყოფს სადამრიგებლო საათის თემები, ოქმები, კათედრის ოქმი, სკოლის სოც ქსელი. ამავე დოკუმენტებში ნათლად ჩანს საგნობრივი კათედრების მუშაობის თანამშრომლობითი პრინციპების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მიღებისა და ადაპტიციის წესი. ზემოთ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათლად ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში (2023 -2024), მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებისთვის განსაზღვრულია სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლაში აქტიურად ხორციელდება სპორტული, სახელოვნებო და სხვადასხვა სასკოლო პროექტები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მიზნობრივი ექსკურსიები და გასვლითი გაკვეთილები, ხორციელდება შემოქმედებით ღონისძიებები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებული მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის

არჩევანის საშუალება, ასევს მრავალფეროვანი აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესთა და შესაძლებლობების სფეროს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია, რომ სკოლას სწავლების პროცესში გათვალისწინებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე ზრუნვა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო გარემო უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. ასევე, სკოლაში თანამშრომლობითი გარემო გამოვლინდა ვიზიტის დროს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დენეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კლუბების წესდებები და დებულებები.*
2. *სასკოლო სივრცეები*
3. *მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი მასალები*
4. *კლუბური მუშაობის აქტივობები და მიღწევები*
5. *მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.*
6. *მოსწავლეთა ტრანზიციის წესი*

7. შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოყოფილია მონიტორინგის ჯგუფი ლიდერი მასწავლებლებიდან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კურიკულუმის ხარისხიანად განხორციელების მონიტორინგზე. სკოლის კუკურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლაში განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით განახორციელებს სადიაგნოსტიკო წერებს, რომლის ანალიზის შედეგად განხორციელდება კურიკულუმის რევიზია, რომლის მონაცემთა შეჯერების საფუძველზე მასწავლებელი კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, რითაც ის უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის განახლებას. სკოლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სამუშაო პროცესში. სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადიაგნოსტიკო შეფასების, SWOT ანალიზის,

თვითშეფასების სისტემა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების ზრუნვასა და მხარდაჭერაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის პრაქტიკით, მონიტორინგის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს. ანალიზისა და გაკეთებული დასკვენების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანია მათი დახმარება სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SWOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ, კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*
3. *წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმები, რესურსი 12)*
4. *კათედრის მუშაობის SWOT ანალიზი*
5. *პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ოქმები*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციათა დელეგირების საფუძველზე. სკოლის

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოსწავლის შეფასებისას სკოლა გაითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს: მოსწავლის შეფასება, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების შეფასება და მშობლის უკუკავშირი. დამრიგებლის დაკვირვების შედეგებს, არასაგაკვეთილო აქტივობების შეფასებას, პროექტებში აქტივობის, მოსწავლის ქცევის, მოსწავლეზე დაკვირვების ფურცლის, პროექტის ან კვლევის SWOT ანალიზის შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროს იყენებს. შეფასება ხორციელდება –კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. სკოლას აქვს მზაობა, შეფასებისას გაითვალისწინოს მოსწავლის სოციალურ და ფსიქ-ოემოციურ მდგომარეობა, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. მოსწავლის ცოდნის, სწავლის და ქცევის ხარისხი სხვადასხვა კონტექსტში ფასდება. ერთი და იგივე მოსწავლე შეიძლება შეფასდეს ჯგუფური მუშაობის, ინდივიდუალური მუშაობის , სკოლის გარეშე სამუშაოების,პროექტებზე მუშაობისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემთა შგროვების მრავალფეროვანი წყაროები: ანკეტირება, დაკვირვების ფურცელი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფზე დაკვირვება, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია, SWOT ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. *დასტურდება (მტკიცებულებები):*
2. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
3. *მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.*
4. *კათედრის ოქმით დამტკიცებული ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12*
5. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
6. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები.*
7. *სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2023-2024 სასწავლო წლისათვის.*
8. *დიფერენცირებული დავალებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ეტაპობრივად მოახდენს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზიასა და ანალიზს. შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა წინა სასწავლო წლის კურიკულუმები, რომლის განხორციელებისას პედაგოგთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, გამოყენებული აქტივობების, მეთოდების ეფექტურობა გაითვალისწინეს მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი*
2. *2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი*
3. *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი*
4. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრები წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით *მუშაობენ* კურიკულუმების შექმნასა და მის დახვეწაზე. კათედრები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ კურიკულუმს, კათედრაზე შემავალის საგნის მასწავლებლები შემუშავებულ კურიკულუმს გააცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, მიიღებენ უკუკავშირს. მიღებული უკუკავშირის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში მოხდება კურიკულიმებში ცვლილებების შეტანა. კათედრის წევრები აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რომელიც ეყრდნობა მოსწავლეთა თვითშეფასებებს, კათედრის ანალიზებს. ინტერვიურების პროცესში იკვეთება,რომ კურიკუმების შედგენის დროს პედაგოგებს არ უჭირთ კომპლექსური დავალებისა და აქტივობების დიფერენცირების გათვალიწინება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების, სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, ასევე გათვალისწინებული არის მშობლის ინტერესები. რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კათედრები ცდილობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტივობების ანალიზზე დაყრდნობით, ამ აქტივობების რეფლექსიით, ერთობლივ შეხვედრებზე მოსწავლეთა მიღწევებისა და

გამოწვევების განხილვა-ანალიზით, გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. პედაგოგები საშუალო საფეხურის კლასებში აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, წინარე ცოდნა-გამოცდილებას და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა მოდიფიცირებას, თემებისა და სავალდებულო ტექსტების, კონტექსტ მაგალითების შერჩევას. მათი აზრით, ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს, როგორც სასკოლო საზოგადების ინტერესების ასახვას სასკოლო კურიკულუმში, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს სასკოლო საზოგადოება, კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით ხორციელდება, რაც კათედრის შეხვედრების სამუშაო გეგმაშიც ჩანს. კურიკულუმებში გათავლისწინებულია მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის, მშობლების საჭირო პრობლემები. კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა საშუალო საფეხურზე არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმებიც გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის სოციალურ გვერდზე. პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მშობელთა ბარათები) ყოველ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყების წინ მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. კლასის დამრიგებლები აწვდიან მშობლებს კურიკულუმსა და დამხმარე სასწავლო მასალებს. კათედრებზე პედაგოგები აანალიზებენ როგორც საკუთარ პედაგოგიკურ პრაქტიკასა და გამოცდილებას, ასევე იმ პრიორიტეტებს, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართვას ამ პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
2. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
3. *კურიკულუმის შემუშავების ამსახველი ფოტო მასალა, კათედრების მიხედვით;*
4. *კათედრის შეხვედრების ოქმები;*
5. *სკოლის ვებ გვერდი,*
6. *სკოლის და კლასების სოციალური გვერდები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, თანაშეფასების , გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრების სწორი ხედვა და მზაობა. კათედრებმა გამოამჟღავნეს სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა), მასწავლებლებმა შექმნეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების მიხედვითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, სამიზნე ცბება/ქვეცნებები და რესურსების ჩამონათვალი. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა

და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტის კურიკულუმში პროექტის თემა (სამეწარმეო პროექტი-სახელოვნებო პროფესიები: რა უნდა ვიცოდეთ წარმატებული კარიერის შესაქმნელად. შემოქმედებითი/სამოქალაქო-ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება) დასამუშავებელი საკითხები, სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მეთოდიკური ორიენტირები ნათლად მეტყველებს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვასა და განვითარების გზაზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი და საჭიროებები. ამასთან ,ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ, საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები, რასაც ასაბუთებენ წინა წლის თემატური მატრიცებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით.

მათემატიკა - სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც მათემატიკის კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხვნებიდან. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, რომელის ფლობა აუცილებელი პირობაა სწავლა სწავლების შედეგების მისაღწევად და მათი დამუშავება ხდება სხვადასხვა საკითხისა თუ თემის კონტექსტში. კურიკულუმებში ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები სწავლასწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება და მოსწავლის ცოდნას ადასტურებს საკითხთან მიმართებით. შერჩეული თემები სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები ისეა შერჩეული, რომ

მოსწავლის შინაგან მოტივაციას ამაღლებს და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები, დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმები (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა), რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმებში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული, რომ სწავლის პროცესში მოსწვალე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, უცხო ენების მიმართულება **აკმაყოფილებს** მოცემულ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის კათედრის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში მკაფიოდ იკვეთება სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და საფეხურის ფარგლებში მისაღწევი შედეგები. პროექტების და ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემოქმედებითი პროცესში ჩართვას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

სახელმწიფო ენა - სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. კათედრის წევრები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კომპლექსური დავალებებისთვის მოსამზადებელ ეტაპეპზე აქტივობებს აღნიშნული პრინციპით შეარჩევენ. განხილვის საგანი გახდება კონკრეტული აქტივობა რომელი ფუნქციური უნარის განვითარებას ისახავს მიზნად და რამდენად მოხერხდა მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში, დანერგილ თემატურ მატრიცასა და კომპლექსური დავალების დანერგვის რეფლექსიაში წარმოადგინეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, აღინიშნა რომ იმავე აქტივობებს განახორციელებენ მომდევნო სასწავლო წელს და გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. დამადასტურებელ დოკუმენტაციად წარმოადგინეს უკვე განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები, რომლებიც არაფორმალური განათლებისა და გლობალური უნარების განვითარებაზე მეტყველებს.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. ასევეა გაწერილი ის თემები, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით. ყოველ თემაში განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ყოველი თემის სწავლებისას მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები და საფეხურის შესაბამისი შედეგები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა <u>აკმაყოფილებს</u> სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნების ორიენტირება ხდება საფეხური ბოლოს მისაღწევი შედეგებით. მასწავლებლების მიერ თემების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესი და საჭიროება. თითოეული თემის შესაბამისად გაიწერა კომპლექსური დავალებები, რომლებიც კურიკულუმებში ამ ეტაპზე პირობის სახითაა წარმოდგენილი.

მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დღემდე განხორციელებულ ფესტივალებსა თუ მოძრავ თამაშებზე და იმ ეტაპებზე, რომელსაც გაივლიან ახალი კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა და მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არჩევანს. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. იძლევა პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. საშუალო საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომლის სწავლების პროცესიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მომდევნო სასწავლო წლის გეგმის საგნობრივ კურიკულუმშიც გათვალისწინებულია მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოდიფიცირებული დავალებები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ვინაიდან სკოლა არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, კურიკულუმი წარმოდგენილია იდეების დონეზე. თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შესაქმნელად. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. საერთო შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატური მატრიცების ადაპტირება. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და შემოქმედებითი პროდუქტები, შერჩეულია შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. მკაფიოდ ჩანს, რომ აქტივობები/პროექტის იდეა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინკლუზიურის შიდა მონიტორინგის ბრძანება, რომლის თანახმად, მთელი წლის

განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ გათვალისწინებეულია მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი. მიმდინარეს შეფასებისთვის მასწავლებელთა მხრიდან დასახელებული ინსტრუმენტები, რუბრიკები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა, დაგეგმეს აქტივობები მათი ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით, შესთავაზეს მიზანმიმართული კონტექსტმაგალითები. კათედრა გეგმავს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებასა და ანალიზსს, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას. ამ ეტაპზე კათედრის დონეზე პროცესის შესასწავლად/ შესაფასებლად იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ იდივიდუალური გეგმის საშუალებით, ადაპტირებული დავალებებითა და აქტივობებით.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია მათემატიკაში ერთი მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. კომლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი ასეთი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას თემები, ქვეცნებები, საკითხები შერჩეული იქნა საფეხურის შესაბამისად და გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ინდივიდუალურ მიდგომებზე, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარეობდა. ასევე აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების, საკითხების თუ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოხდება დიფერენცირებული მიდგომა და მოსწავლეთათვის მათზე მორგებული და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობების შეთავაზება, როგორიცაა ფესტივალის ორგანიზაციულ საკითხებში დახმარება, გაფორმება, პრეზენტაციის შექმნა, სპორტული დარბაზის გაფორმება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ვიზიტისას გასაუბრების დროს საშუალო საფეხურის პედაგოგებს წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების

რუბრიკები სხვადასხვა საგნებში და კლასებში წარმოდგენილი კომპლექსურების შესაბამისად, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თვითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიების სახით, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მასწავლებლების მიერ შექმნილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასკოლო კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებების იდეაში და შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა სკოლამ წარმოადგინა ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოკვეთეს შეფასების ძირითადი ამოცანები და ისაუბრეს ასევეგანმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა მისიეფექტური წარმოების შესახებ. კერძოდ, მათ შეუძლიათ, რომ თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. აღნიშნული ფაქტიგანაპირობებს იმას, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ შეფასება და სწავლის პროცესი როგორც ერთი მთლიანი პროცესი და შეუძლიათ შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სკოლა პროექტის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა საშუალო საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოთი, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროექტის სასწავლო მიზნებთან მიმართებით სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებდნენ მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას და პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი პროდუქტების შეფასებისას სოლო ტაქსონომიის რუბრიკას. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მკაფიოდაა წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და ამოცანები.

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ მომავალი სასწავლო წლისთვის შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიგვანეშნებს, რომ დააკვირდებიან როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენები შესასწავლ საკითხთან, თემასთან დაკავშირებით, გამოავლენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების გამოკვეთის შესძლებლობას მისცემს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მასწავლებელთა მხრიდან ხაზგასმულია კომპლექსური დავალებების განმავთარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი, დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობა. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკები გახდება მეთოდოლოგიური დანართის ნაწილი, დაკონკრეტდება კონკრეტული რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა. კონკრეტული პროცესის შესაფასებლად. უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეულია სარეკომენდაციო ინსტრუმენტთაგან ერთ-ერთი მოსწავლის მიმდინარე მიღწევების შესაფასებლად.

მათემატიკა -- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია საშუალო საფეხურზე მათემატიკაში როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. წარმოდგენილია საკლასო სამუშაოს, საშინაო დავალების და შემაჯამებელი წერის შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ სხვა თემების შეფასების დროსაც. სკოლას გააჩნია დიაგნოსტიკური წერების ჩატარების გამოცდილება, მოცემულია დიაგნოსტიკური წერების შეფასების ზოგადი რუბრიკა. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N2 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. რუბრიკებში გამოყენებულია შეფასების ინდიკატორები და განსაზღვრულ სავალდებულო თემაში დაჯგუფებულია სამიზნე ცნების მიხედვით. მაგალითად თემა მძლეოსნობაში გაწერილია თემის მიხედვით შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით და განსაზღვრავს თუ რა უნდა შეძლოს თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებიდან გამომდინარე მოსწავლემ. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები შეიქმნება თემიდან გამომდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია სასწავლო კურიკულუმების მონიტორინგი და გაუმჯობესება. პედაგოგები წინარე გამოცდილების (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე რომელიც სხვადასხვა კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დოკუმენტების შესწავლისას და დამატებით ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდ. გეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში პირველად დაინერგა 2022-2023 სასწავლო წელს. სკოლას ააქვს პროექტებით სწავლების გამოცდილება, რაც ნათლად არის ასახული მტკიცებულებებით წარმოდგენილ საბაზო/ საშუალო საფეხურზე განხორციელებულ პროექტებში და საკლუბო მუშაობის ფარგლებში გაწერილ სასწავლო მიზნებსა და აქტივობებში. ინტერვიუზე მასწავლებლებმა იმსჯელეს მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინებაზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - სკოლა აღნიშნავს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

მათემატიკა - სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 10-12 კლასებში გათვალისწინებულია ორი კოპლექსური დავალების განხორციელება. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად ამ ეტაპზე არ აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. რადგან მოსწავლეებს ამ საკითხში არ ჰქონდათ წინარე გამოცდილება, ამიტომ აირჩიეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებების მოცემული რაოდენობა. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების შერჩევისას მასწავლებელთა მხრიდან გათვალისწინებული იქნა ის თემები, რომელშიც მოსაწვლეთა დიდი ნაწილი აქტიურად იყო ჩართული. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ იმ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.*
3. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
4. *კათედრის ოქმები*
5. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
6. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
7. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრათა სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლებმა აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორცილება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტების შინაარსში ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეებს სამიზნე ცნებების გააზრებით , მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით მოუწევთ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა. საბაზო და საშუალო საფეხურზე არსებული სახელოვნებო კლუბის აქტივობებიდან/ვიზუალური მასალიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ქმნიან მრავალფეროვან შემოქმედებით პროდუქტებს აწყობენ სასკოლო გამოფენებს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ენა - კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (სამივე საფეხურის ყველა კლასის) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გარდა ამისა, აღწერილი პროცესი აისახა ერთ-ერთი კლასის თემატურ მატრიცაში, რომელიც წინა წელს დანერგვისა , განხილვისა და რეფლექსიის საგანი გახდა კათედრის წევრებისთვის. მატრიცა წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულების სახით.

მათემატიკა - მათემატიკის კათედრა საშუალო საფეხურზე ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორი კომპლექსური დავალების განხორციელება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის და მათ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას განაპირობებს. მოსწავლისთვის შეთვაზებულია მამოტივირებელი სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობები, კომპლექსური დავალებები, სპორტული რესურსი, საინტერესო ლინკები, სახელმძღვანელოები, რომლებიც მათ შესაძლებლობებზეა გათვლილი და მათ ინტერესებს ითვალისწინებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს განხორციელებულ სპორტულ ღონისძიებებში, მოძრავ თამაშებსა თუ ლაშქრობებში დაწყებითი საფეხურის არა მარტო მოსწავლეთა, არამედ მშობელთა მაღალ ჩართულობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის ჩარჩოს დოკუმენტების შესწავლიდან, ასევე გასაუბრებების დროს გამოიკვეთა რომ კათედრებს გააზრებული აქვთ თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრებს ასევე აქვთ განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშველობაც. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები. კათედრებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ განაგრძონ მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები, პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება , თანამშრომლობის გაძლიერება, სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირებულებების განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები, კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ პროექტის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს სასწავლო მიზნები, აქტივობები , რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებს. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წინარე ცოდნის განსაზღვრა და გააქტიურება განიხილება, როგორც მონიტორინგისა და მოსწავლის შეფასების ამოცანების საშუალებად, რაც მკაფიოდ დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნის გააქტიურებითა და ახალი ცოდნის გადაცემით სამიზნე ცნებებთან, საგნობრივ საკითხებთან/კონტექსტებთან მიმართებით.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემატური ბლოკების, დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი პროცესი მკაფიოდ ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და რეფლექსიაში.

მათემატიკა - მათემატიკის კათედრამ საშუალო საფეხურზე გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით ითვალისწინებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, რომელიც მოსწავლეს ეხმარება შეძენილი ცოდნის დამუშავებასა და გააზრებაში. განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, კურიკულუმებში პირობის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს, პროექტის მომზადებას, რომლიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეობს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას და შესწავლილი საკითხების წარმოჩენას გულისხმობს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის მოძრავ თამაშებში გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრა საშაულო საფეხურზე 2023-24 სასწავლო წელს ახორციელებს ორ პორექტს, რაც თავისათავდ გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური / კვლებითი უნარების. კრიტიკული აზროვნების განვითარებას.კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანი სტრატეგიებს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პროცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორცილებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცხადია კათედრის წევრება ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მეთოდოლოგიური დანართის სრულყოფისას.

მათემატიკა -- საშუალო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ მნიშვნელოვანია აქცენტი მოსწავლის სწავლაზე კეთდებოდეს. ამ მხრივ წარმოდგენილი კურიკულუმებით სთავაზობს მოსწავლეებს მათ ინტერესებზე გათვლილ სპორტულ ღონისძიებებს, სპორტულ რესურსს, კომპლექსურ დავალებებს, ინტერნეტ რესურსებსა თუ სახელმძღვანელოებს, რომლებიც არა მარტო მოსწავლის პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ცოდნასაც გულისხმობს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესში მოსწავლის სწავლის სწავლაზე კიდევ მეტად იქნება ორიენტირებული .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგების მიერ წარდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება , სხვადასხვა მეცნიერებების კათედრებს აქვთ გამოცდილება კომპლექუსირი ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა. ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება - პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში სასწავლო მიზნების/სამიზნე ცნებების ცოდნის კონსტრუირებისთვის იყენებდნენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილ აქტივობებსა და სასწავლო მეთოდებს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი, სახელოვნებო კლუბის მუშაობა. სადაც აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას , სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

მათემატიკა -- საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათემატიკის კურიკულუმები, საიდანაც ჩანს რომ მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლისგან სიღრმისეულ გააზრებას მოითხოვს. თემის ფარგლებში გაწერილი საკითხები მოსწავლისგან წესების ცოდნას ითვალისწინებს, სასწავლო სიტუაციები, ტექნიკური ელემენტები, ვარჯიშები, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს და სხვადასხვა აქტივობებით მრავალჯერ ამეორებინებს პროცედურულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობა მოძრავ თამაშებში, ფესტივალებში პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებასა და არგუმენტებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურზე ორი პროექტი სამეწარმეო პროექტი-სახელოვნებო პროფესიები: რა უნდა ვიცოდეთ წარმატებული კარიერის შესაქმნელად და შემოქმედებითი/სამოქალაქო-ხელოვნება როგორც გამოხატვის საშუალება. პროექტის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეებს მოუწევთ ცხოვრებისეული გამოცდილების, სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები, წინა წელს დანერგილი კომპლექსურები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე, აღნიშნული პროცესი ნათლად ჩანს წინა წელს დანერგილი კომპლექსური დავალების თემატურ მატრიცაში.

მათემატიკა -- კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შინაარსის მქონე კომპლექსური დავალებები. კერძოდ, ერთერთ დავალებაში მოსწავლის დავალებაა კუთხით გასროლილი სხეულის ტრაექტორიის დადგენა, ხოლო მეორე დავალებაში მოეთხოვება ელექტროენერგიის მოპოვების განახლებადი და არაგანახლებადი წყაროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ფასის დადგენა და შესაბამისი მათემატიკური აღწერა. ორივე დავალება მოსწავლისაგან მოითხოვს მათემატიკისა და ფიზიკის ცოდნის დაკავშირებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადაგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება ყველა კლასში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრა აცნობიერებს, რომ სწავლა სწავლების დროს მნიშვნელოვანია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს და წარმოადგინეს განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ფიზიკურ აღზრდასა და ბუნებისმეტყველებას შორის, რომელიც დაეხმარა მოსწავლეებს ცოდნის მობილიზებაში. კურიკულუმში სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში განსახორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც პროექტის მომზადებას ითვალისწინებს ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების მიმართულებით ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე იქნება ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
2. *საგნობრივი კურიკულუმები*
3. *სასკოლო პროექტები*
4. *კათედრების სხდომის ოქმი*
5. *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
6. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია*

7. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
8. *მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი*
9. *მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოები არ იძლევა მკვიდრი წარმოდგენების მითითების საშუალებას, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. კურიკულუმთან მიბმული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ნათლად ჩანს რომელი სამიზნე ცნების რომელი მკვიდრი წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი კლასის კურიკულუმებში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება როგორც, კომპლექსური დავალებებით, ასევე თემის ფარგლებში მოცემული საკითხებით. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. .შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტაციიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფდნენ სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას საგნობრივ საკითხებთან მიმართებით. დაგეგმილი პროექტების ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე, ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით; კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტაციიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფდნენ სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას საგნობრივ საკითხებთან მიმართებით. დაგეგმილი პროექტების ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე, ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. იგივე პრინციპი დაცულია კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, შესაბამისად კათედრა მზადაა გაითვალისწინოს აღნიშნული პრინციპები და მიმართებები სწავლა-სწავლების პროცესში.

მათემატიკა -- საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. შერჩეული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით განსაზღვრულია შუალედური მიზნები რაც საფუძველს გვაძლევს, რომ სასწავლო პროცესში მოხდება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა , რომლებსაც მიმართავს სკოლა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინო სეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად. ამას გარდა , სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესები" პირველ კლასელთათვის, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში შემოსვლის დღიდან მოსწავლეთა ფსიქო- ემოციურ განვითარებას და როგორ ზრუნავენ, რომ შექმნან მათთვის შესაბამისი გარემო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზუსტად აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს მოსწავლის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მასწავლებლებს აქვთ ძირითადი თემები განსაზღვრული. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების განხორციელების, დამუშავებისა და გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს და ინდიკატორს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და შეძლოს მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად მიმართავენ განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ადეკვატური თვითშეფასება და შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამ დროს შესაძლებელია ისეთი საკვანძო კითხვების დასმა, რომლებიც დააფიქრებს მოსწავლეებს და კიდევ უფრო მეტად გააქტიურებს სწავლის პროცესს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ, პროექტის შერჩევისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პროექტი მიმართულია იყო არა მხოლოდ

მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. სკოლაში არსებული სახელოვნებო კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პიროვნული/ ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლის ამგვარი კუთხით განვითარებას უწყობს ხელს, რაც გააზრებული პროცესია მასწავლებელთა მხრიდან.

მათემატიკა -- მათემატიკის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი კომპლექსური დავალებები მოძრავი თამაშები, პროექტის მომზადება, ფესტივალი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას მოსწავლეები თამაშობენ გუნდურად, მართავენ ემოციებს, ახერხებენ კონფლიქტურ სიტუაციების, ემოციების მართვას, რაც მოსწავლის არა მარტო პიროვნულ, არამედ ფსიქო სოციალური უნარების განვითარებასაც განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მიემართება კომპლექსურ დავალებებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. კათედრების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი

საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშნებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები. თუმცა, რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, შეიძელბა ითქვას, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტეზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კათედრის მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ამაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებებს, მოტივაციის ზრდისათვის. ყურადღება გამახვილებულია განმავითრებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა, ხოლო ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენების მზაობა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ასევე, ინტერვიუს დროს, ნათლად წარმოჩინდა რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა - სასწავლო პროექტი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებებს, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ განმავითარებელი უკუკავშირითა და წამახალისებელი კომენტარებით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეების ჩართულობასა, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებით განმავითარებელი უკუკავშირით ცდილობენ მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას.

სახელმწიფო ენა - კათედრების მიერ შერჩეული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: კომპლექსური დავალების შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, შეფასების რუბრიკა მიმდინარე მიღწევებისთვის, კათედრის მიერ წარმოდგენილი

შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოებას, ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში,დეტალურად აღიწერება რამდენად და როგორ უწყობს ხელს ისინი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

მათემატიკა -- საშუალო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები ასევე მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ხელს შეუწყობს მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში და შეუქმნის პოზიტიურ დამოკიდებულებას, დაეხმარება მოსწავლესა და მასწავლებელს ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვაში, პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი დაძლევის გზების ძიებაში. აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ წაარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება,რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს,მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, კათედრებზე ხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღავენელებს შედმეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვათა, რომ სკოლა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრონციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ასევე ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტული სწავლება ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სკოლას 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი დეტალურად აქვს წარმოდგენილი შეფასების ამოცანები და მიზნები, სკოლას არჩეული აქვს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემა. საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითი პროდუქტების შეფასებისას იხელმძღვანელებენ სახელმძღვანელოში არსებული სოლო ტაქსონომიის რუბრიკით, რომელიც მოსწავლეებისთვისაც ნაცნობი და ხელმისაწვდომი იქნება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური

სახელმწიფო ენა - კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწვალეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღნიშნავენ, რომ მათმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. ყველაზე მთავარი მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის

შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი.

მათემატიკა -- სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - სკოლა ერთწლიანი სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. კათედრის მიერ მოწოდებული შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ცოდნის დონის დადგენაზე. კათედრას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობითაა შემუშავებული იქნება ვალიდური, ობიექტური, სანდო და გამჭვირვალე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ვადები და პირობები. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. .გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. პირველად ავტორიზაციაზე ეს მექანიზმი ვერ შეფასდება, თუმცა სკოლას აქვს იმის გამოცდილება, რომ სკოლა უზრუნველყოფს განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციების, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას, რადგან ყველა მოსწავლეს აქვს პირადი საქმე და კლასის ხელმძღვანელებს შეაქვთ საბოლოო და საფეხურის ნიშნები. სკოლა ინახავს შემაჯამებელ სამუშაოებს, პორტფოლიოებს, პროექტებს როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;*
2. *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი*
3. *სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.*
4. *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;*
5. *თემატური მატრიცები*
6. *მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები*
7. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2023-24 წ*
8. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ*
9. *მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. სხვდასხვა კათედრის წევრები აქტიურად გახლდნენ ჩართულნი ინტერვიურების პროცესში. ჩანდა, რომ სკოლის ყველა კათედრა თანამშრომლობის გზით ჩართულია სკოლის სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. მათი ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სავარაუდოდ აისახება პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართელობა, სადაც თვითმმართველთა წევრების გარდა ჩართულია სკოლის ყველა მოსწავლე. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ადგენს სკოლის საჭიროებებს. ამ პროცესში მონაწილეობას იღებს სკოლის დირექცია, სკოლის ტექ. პერსონალი, ადმინისტრაცია, კლასის ხელმძღვანელები და მთლიანად სასკოლო საზოგადოება. პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. ამ მიზნით მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა ტიპის რესურსებს. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. 2023—2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ სკოლა იაზრებს თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის საჭიროებას. საგნობრივი კათედრები შეიმუშავებენ კურიკულუმებს, რასაც უკუკავშირის მისაღებად სასკოლო საზოგადოება პირისპირ შეხვედრის გზით გააცნობს სამიზნე აუდიტორიას. უკუკავშირის მიღების შემდეგ მოხდება გაანალიზება, საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებების შეტანა. მასწავლებლებთან გასაუბრებით და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა.

ინდიკატორი დაკამყოფილებულია

4. სასწავლო პროცესში შექმნილია ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზეც,
სკოლის დირექცია, პერსონალი, პედაგოგიური კოლექტივი ქმნის სწავლა-სწავლების პოზიტიურ გარემოს, მრავალფეროვნებასა და ინსტიტუციურ გარემოს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა იმისა ერთამანეთს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კლუბების წესდებები და დებულებები.*
2. *სასკოლო სივრცეები*
3. *მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი მასალები*
4. *კლუბური მუშაობის აქტივობები და მიღწევები*
5. *მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.*
6. *სასკოლო სასწავლო გეგმი პროექტი 2023-24 სასწავლო წლისათვის.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასწავლო პროცესის, აგრეთვე კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია და საგნობრივი ექსპერტები. სკოლას აქვს მონიტორინგის და შეფასების სისტემის ამსახველი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სამომავლოდ გეგმავს აღნიშნული პროცესის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები. სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადიაგნოსტიკო შეფასების, SWOT ანალიზის, თვითშეფასების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას გააზრებული აქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით პრობლემების გამოვლენისა და მათ გადაჭრის გზების ძიების საჭიროება და აუცილებლობა, რისი პროცედურებიც დეტალურადაა გაიწერილი მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმები, რესურსი 12)*
2. *კათედრის მუშაობის SWOT ანალიზი,*
3. *პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ოქმები*
4. *კურიკულემის შემუსავებისა და შეფასების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, რომელიც სამიზნე ცნებებისკენ მიემართება და იძლევა საშუალებას დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სკოლა აქვს გამოცდილება მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემით. შეფასებისას გამოიყენება დამრიგებლის დაკვირვების შედეგები, არასაგაკვეთილო აქტივობების შეფასება, პროექტებში აქტივობის, მოსწავლის ქცევის, მოსწავლეზე დაკვირვების ფურცლის, პროექტის ან კვლევის სვოტ ანალიზის შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის ცოდნის, სწავლის და ქცევის ხარისხი სხვადასხვა კონტექსტში ფასდება. მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებს განსხვავებულ კონტექსტს - საკლასო გარემოს, აკადემიური მოსწრებას, სწავლის პერიოდის, სკოლის გარეშე სამუშაოების, პროექტებზე მუშაობას, სასწავლო პროცესში განსახილველი კონტექსტ მაგალითი, თემა, საკითხი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს შეფასება დააფუძნოს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესსა და სწავლა/სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სკოლა თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით აპირებს სასკოლო სივრცეში დაამკვიდროს ჰოლისტური შეფასების გამოყენების კულტურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვება/დამუშავების მექანიზმს. აქვს წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ანკეტირების დოკუმენტაცია, დაკვირვების ფურცლები, ასევე ხორციელდება ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფზე დაკვირვება, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია, SWOT ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქო - ემოციური თავისებურებები. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, მზაობა, ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. *კათედრის ოქმით დამტკიცებული ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12*
2. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
3. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები.*
4. *დიფერენცირებული დავალებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, საშუალო საფეხურის მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს და საკითხებს და შემდეგ, ამ მსჯელობის საშუალებით ვიგებთ რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას. სკოლას აქვს შეიმუშავებული კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში მასწავლებლები კურიკულუმის შედგენის დროს აქტიურად თანამშრომლობენ. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას. სამომავლოდ დეტალურად გაითვალისწინებენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი დკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი*

2. *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი*
3. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა: 174 (ასსამოცდათოთხმეტი) გვერდი
თანდართული დოკუმენტაცია: 219 (ასორმოცდაცხრამეტი გვერდი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი 19.09.2023